# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

№ 119 (5720)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## რას ნიშნავდა წარწერა – „ქალაქში მკვლელია?“

3



*უშველის „მეტადონი“ ნარკომანებს?!*

## 2 გადაარჩენ ერთს – გადაარჩენ სამყაროს!

**არ აწამო, იწამე ადამიანი!**

## კონსტანტინე გამსახურდია სოფელ ხიბულაში ღურწკაიების სახლისა და ოჯახის დაცვას მოითხოვს

3





## საქართველო-რუსეთის გარიგება სამხრეთ ოსეთის შესახებ მხოლოდ ფანტაზიაა

10

**დიმიტრი სანაკოევი:**

## ჩემი ერის მომავალი ერთიან, დემოკრატიულ საქართველოშია



კონფლიქტის მოგვარებისათვის გამოსავალი ერთადერთია – პირდაპირი დიალოგი ქართველ და ოს ხალხებს შორის, გარე და შიდა დესტრუქციული ძალების განეიტრალება, მისი ჩანაცვლება საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის ჯანსაღი და ეფექტიანი თანადგომით, – ამის შესახებ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-9 სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„დიალოგს სჭირდება ნებისყოფა, ძალისხმევა და, რაც მთავარია, დიალოგს სჭირდება შესაბამისი გარემო და მეგობრები, რომლებიც მზად არიან დაგვეხმარონ კრიტიკულ სიტუაციებში. სწორედ ამიტომ, ნდობის მშენებლობისა და ეკონომიკურ რეაბილიტაციაში განსაკუთრებით დიდია ევროკავშირის როლი. საჭიროა, რომ ანტიდემოკრატიულ პროპაგანდას დავუპირისპიროთ გაბედული სამშვიდობო ინიციატივები და ეკონომიკური განვითარების პროექტები, – განაცხადა სანაკოევმა და აღნიშნა, რომ ყველამ უნდა დაინახოს, რომ ოსებსა და ქართველებს შეუძლიათ, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე აშენონ ერთიანი სახელმწიფო.

„ვიცი, რომ საჭირო იქნება გარკვეული კომპრომისებიც, რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. ჩვენ, ქართველი და ოსი პოლიტიკოსების ახალგაზრდა თაობას, გვეძლევა უნიკალური შანსი - შევქმნათ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრეცედენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამაში ვხედავ მე ჩვენი ადმინისტრაციისა და ჩემი, როგორც ოსი ხალხის წარმომადგენლის დანიშნულებას“, – აღნიშნა სანაკოევმა.

მისივე თქმით, საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ნება კონფლიქტის რეალური, ურთიერთკომპრომისებზე დაფუძნებული გადაწყვეტისა.

„გაჩნდა რწმენა იმისა, რომ ქართველები და ოსები ისევ ძმურად იცხოვრებენ ერთმანეთის გვერდიგვერდ. ამ რწმენამ გვიბიძგა მე და ჩემს თანამოაზრეებს, შეგვექმნა მშვიდობისა და დემოკრატიის დასამკვიდრებლად საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და სათავეში ჩავდგომოდით ახალ დროებით ადმინისტრაციულ ერთეულს“, – აღნიშნა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას დიმიტრი სანაკოევმა.

იქვე აღნიშნა, რომ წლები გადის, რაც ე.წ. „გაყინული კონფლიქტის“ პირობებში ყოველდღიურად იტაცებენ და ხოცავენ ადამიანებს, რის გამოც კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველი და ოსი თანამოქალაქეები ხვალინდელი დღის მუდმივ შიშში ცხოვრობენ.

„ჩვენ შეგვიძლია ამას ერთობლივად დავუსვათ წერტილი. მე ვფიქრობ, რომ ჩემი ერის ასეთი მომავალი ერთიან, დემოკრატიულ და სტაბილურ საქართველოშია, სადაც დაცული იქნება ყველა ერის, მათ შორის ოსების ეროვნული თვითმყოფადობა და თითოეული მოქალაქის უფლებები“, – აღნიშნა სანაკოევმა დასასრულს.

ჯი-ეიჩ-ენი

# სახელმწიფო

ფაქტი ფაქტად რჩება: რუსეთის დიდი მონდომებისა და ლობირების მიუხედავად, აფხაზი თუ ოსი სეპარატისტები არც ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ სათოფეზეც არ გაიკარა. ერთი ასეთი ფიასკოს გამო, ვგონებ, გაეროში, რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი წიწაკაამოსმულივით გავარდა სხდომათა დარბაზიდან



**აქტუალური თემა**

# საარჩევნოდ სათანადო საპარლამენტო ფრაქცია შეიქმნება?

**2008 წლის არჩევნებისთვის კამპანია უკვე დაიწყო. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, გაერთიანდება თუ არა იმ დროისთვის ოპოზიციური სპექტრი და, თუკი ეს მაინც მოხერხდა, ეყოლება თუ არა ოპოზიციას საპრეზიდენტო არჩევნებში ერთი კანდიდატი.** გაერთიანება კიდევ ჰოო, მაგრამ საპრეზი-

**ცაგარეიშვილი, მახარაშვილი და გუნცაძე არ უარყოფენ, რომ ხშირად ხვდებიან ოქრუაშვილს**



დენტო არჩევნებისთვის ოპოზიციამ ერთი კანდიდატის დასახელება რომ შეძლოს, ამას ექსპერტთა ნაწილი თითქმის წარმოუდგენლად მიიჩნევს. ცხადია, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დამთხვევის გამო, 2008 წლის არჩევნები ძალიან სპეციფიკურად წარიმართება. კერძოდ, ის, ვინც კენჭს იყრის საპრეზიდენტო არჩევნებში, კენჭს ველარ იყრის მაჟორიტარად და ვერც პროპორციულ სიაში იქნება წარმოდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ 2008 წლის არჩევნებისთვის პარლამენტართა რაოდენობა 235-დან 150-მდე მცირდება, რაც, რა თქმა უნდა, კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდის.

ჯერჯერობით მხოლოდ გია მაისაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის დაყენებას აპირებს. „ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი ოპოზიციის შიგნითვე უნდა აირჩეს. საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს პარტია „თავისუფლების“ ლიდერს. გამსახურდიას აზრით, ოპოზიციამ უარი უნდა თქვას საერთო კანდიდატზე, ანუ უარი თქვას საერთოდ საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე, უარი თქვას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე და არჩევნებში ერთიანი საპარლამენტო სიით წარდგეს.

გამორიცხული არ არის, წინასაარჩევნოდ მაინც, ყოფილი თავდაცვის მინისტრის თანამოაზრეებმა საპარლამენტო ფრაქცია შექმნან. ამასთან დაკავშირებით ჯერ ოფიციალური განცხადებები არ კეთდება, თუმცა, აქტიური კონსულტაციები რომ დაწყებულია, ეს ძნელი შესამჩნევი არ არის. უკვე ცნობილია იმ დეპუტატთა ვინაობა, რომლებიც შესაძლოა, ახალი ფრაქციის წევრები გახდნენ. ასეთებად მოიაზრებიან უმრავლესობიდან ქეთევან მახარაშვილი, თეო ტლაშაძე, გურამ ვახტანგაშვილი, მრეწველი გია ცაგარეიშვილი და დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელი კოკა გუნცაძე. მახარაშვილი, ცაგარეიშვილი და გუნცაძე არ უარყოფენ, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრთან მეგობრობენ და მასთან ხშირი შეხვედრები აქვთ, თუმცა შესაძლო საპარლამენტო ფრაქციის შექმნაზე ჯერჯერობით არაფერს ამბობენ.

ირაკლი ოქრუაშვილთან თანამშრომლობას გეგმავენ რესპუბლიკელებიც. ისინი აცხადებენ, რომ ორი თვის წინათ ჰქონდათ კიდეც ამასთან დაკავშირებით ირაკლი ოქრუაშვილთან შეხვედრა. სავარაუდოდ, ყოფილ თავდაცვის მინისტრთან კონსერვატორებიც ითანამშრომლებენ. თუმცა, კონსერვატორები ოქრუაშვილის მიმართ არც დადებით და არც უარყოფით განწყობას არ გამოხატავენ.

—ჩვენი ხედვა ასეთია: ქვეყანაში უნდა იყოს დემოკრატიული წყობა, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, დაცული უნდა იყოს ადამიანის ეთნიკური და რელიგიური იდენტურობა — ამ ხედვებთან დაკავშირებით გვაინტერესებს ჩვენი პარტნიორების აზრი. მათ შორის, ოქრუაშვილის ხედვაც. თუ ამ საკითხზე შევთანხმდით, ჩვენს ურთიერთობებს ვერაფერი დააბრკოლებს, — განმარტავს კახა კუკავა.

საპარლამენტო ოპოზიციის წევრები აცხადებენ, რომ თუ კიდევ ერთი ოპოზიციური სუბიექტი შეემატება პოლიტიკურ სპექტრს, ეს მხოლოდ პოზიტივი იქნება.

**მზია გელენავა**

**თვალსაზრისი**

# ვნებანი ბრიუსელში სანაკოევის გამოსვლის გამო

**„სტამბოლში პუტინი სააკაშვილს არც გამოლაპარაკებიაო“**

**ფაქტი ფაქტად რჩება: რუსეთის დიდი მონდომებისა და ლობირების მიუხედავად, აფხაზი თუ ოსი სეპარატისტები არც ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ სათოფეზეც არ გაიკარა. ერთი ასეთი ფიასკოს გამო, ვგონებ, გაეროში, რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი წიწაკაამოსმულივით გავარდა სხდომათა დარბაზიდან.**

ასევე რუსეთის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რასაც კოკოითის ხელისუფლების აგრესია — გზებისა და სასმელსარწყავი წყლის გადაკეტვა მოჰყვა, საქართველოს ხელისუფლებამ მაინც განაგრძო ურთიერთობა ცხინვალის რეგიონის დროებით ადმინისტრაციულ ერთეულთან და, აგერ, ამ ერთეულის ხელმძღვანელს ვლადიმერ სანაკოევს გუშინ ევროპარლამენტი მთელი 15 წუთი უსმენდა. რა და როგორ უნდა ეთქვა, წინასწარვე იყო ცნობილი. ამიტომ ამაზე სიტყვის გაგრძელება არა ღირს.

გაცილებით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, როგორ მოხდა და რას უნდა ნიშნავდეს ეს.

ზოგი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სანაკოევის ევროპარლამენტში მიწვევა პუტინისა და სააკაშვილის პეტერბურგული შეხვედრის ფარული გარიგების შედეგია. სახელდობრ, ვარაუდობენ, რომ მოსკოვი კოკოთს გაწირავს. საქართველო კი სანაცვლოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსოძ რუსეთის შესვლაზე ახსნის ვეტოს და კონფლიქტის ზონებში რუსეთის სამშვიდობოებს ყოფნის მანდატს გაუხანგრძლივებს.

მაგრამ ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ არც ერთ პრეზიდენტს ტრადიციული პრესკონფერენცია არ გაუმართავს. ე. ი. ან სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდათ, ანდა რაღაცის თქმა დრომდე არც ერთმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

ამასთან, ექსპერტები შარშანდელ ნოემბერსაც გვახსენებენ. მაშინ „ბი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ. ამიტომ იმის შესრულება მოგვიწევს, რასაც ამერიკა და ევროპა გვეტყვიანო და მსოში რუსეთისთვის ხმის მიცემას გვაიძულებენო.

ევროკავშირსა და აშშ-ს ამ ორგანიზაციაში რუსეთის ყოფნა სურთ. და, რაკი ასეა, საქართველოს სიტყვას ის ძალა აღარ ექნება, რომ რუსეთი მისთვის საზარალო გარიგებაზე დაიყაბულოს.

სტამბოლის სამიტზეც, თუმცა თბილისი ეცადა, ისე წარმოეჩინა ყველაფერი, თითქოსდა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დათბა, აგერ, სააკაშვილმა მეგობრულად ხელიც კი გადახვია ლავროვს (იმას ხომ არ გადაუხვევია?!ძ, საქმე მთლად ეგრე მაინც არ უნდა იყოს. პუტინმა შემოჯარულ ქართველ ჟურნალისტებს, შეკითხვაზე, შეხვდებით თუ არა სააკაშვილსო, თავაზიანი ღიმილით მიუგო, უკვე შევხდიო. ამაში კი ერთობლივი სადილი იგულისხმა, რომელზეც ისინი კარგა შორიშორ ისხდნენ. ზოგის მტკიცებით, პუტინი სააკაშვილს არც გამოლაპარაკებია. იმასაც ამბობენ, მოსკოვი არავითარ დათმობაზე არ წავა, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებას დიდი დღე არ უწერიაო. თურმე, ვითომცდა, რუსეთში ჩვენი პრეზიდენტის შესაცვლელად (ალბათ, ვადამდე) ძალზე აქტიურად მუშაობენ. წინ ძალზე მძიმე ზამთარი გველის — უზომოდ გაზრდილი გადასახადები, ლამის საყოველთაო უმუშევრობა, მოსაკრებლები. სათანადო მონდომებით, ამ უმძიმესი სოციალური ფონის მარჯვედ გამოყენება შესაძლებელია. ეს მოსკოვს ნამდვილად არ ესწავლება.

თუ ზემოთქმული მართლაც ასეა, მაშ, როგორღა მოხვდა სანაკოევი ევროპარლამენტში?

ამ საკითხში, სწორედ ზემოთქმულის გამო, ექსპერტთა აზრები იყოფა: ერთნი მიიჩნევენ, რომ საქართველო სწორ პოლიტიკას წარმართავს; რუსეთი დაელოდება, როგორ მიიღებენ ევროპარლამენტში სანაკოევს და ამისდამიხედვით იმოქმედებს; ხოლო სანაკოევის მიწვევა კი სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შედარებით დათბობის, ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის შეთანხმების დასტურიაო. სხვების აზრით კი ეს ერთგვარი თამაშია. რუსეთი ჯერ, ასე ვთქვათ, „სეირს უყურებს“ (მართლაც, რაღაც საეჭვოდ დაწყნარებულია ასეთ დროს ძალზე აგრესიული რუსული მედია. ხომ გახსოვთ, რა გნიასი ატეხეს, როცა სეპარატისტებს უარს ეუბნებოდნენ ეუთოში, გაეროსა თუ სხვაგან გამოსვლაზე?ძ, მერე კი მაინც ისე მოიქცევა, როგორც მას აძლევს ხელს. არაფერსაც არ დათმობს. საამისო ძალა მას უთუოდ შესწევსო.

**კონსტანტინე გურგენიძე**

**P. S. მხოლოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება სანაკოევის ბრიუსელში გამოსვლის გამო.**

**მასში ნათქვამია, რომ დროებით ადმინისტრაციული ერთეული საქართველოს მარიონეტია და სულაც არ გამოხატავს ოსი ხალხის ნებას. ამდენად, სანაკოევს უფლება არა ჰქონდა, ბრიუსელში ოსი ხალხის სახელით ელაპარაკაო. განცხადებაში აშკარად გამოსჭვივის ღვარძლი და ბოღმა იმის გამო, რომ სწორედ სანაკოევი მოიწვიეს ევროპარლამენტში, ხოლო „ცხინვალის კანონიერი ხელისუფლება“, მრავალი ცდის მიუხედავად, არა და არ გააკარეს არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციას და არსად არ სურთ მათი არგუმენტების თუნდაც მოსმენა.**

**კ. გ.**

**არ აწამო, იწამე ადამიანი!**

# გადაარჩენ ერთს — გადაარჩენ სამყაროს!

**26 ივნისს აღინიშნება წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერი გაეროს საერთაშორისო დღე, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ღონისძიება ეძღვნება. საქართველოში ეს დღე უკვე მეხუთედ აღინიშნება. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრისა და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის ორგანიზებით, ვერის პარკში წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერი აქცია გაიმართა.**

**„ამ საკითხზე ერთიანი სტატისტიკა არ მოგვეპოვება, თუმცა არის ფაქტები, რომელთა განზოგადებაც შეიძლება. ადამიანებს ძირითადად სასჯელაღსრულებით დეპარტამენტში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში და ა. შ. აწამებენ. გვინდა, რომ ამ აქციით საზოგადოებრიობის, ხელისუფლების და მასმედიის ყურადღება მივიპყროთ, რადგან საქართველოში არიან წამების მსხვერპლნი, რომელთაც დახმარება და თანადგომა სჭირდებათ. სამწუხაროდ, ეს პრობლემა საქართველოში კვლავ მოუგვარებელია. ხელისუფლებას კი არანაირი ნაბიჯი არ გადაუგამს ამის მოსაგვარებლად,** — განაცხადა ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა უჩა ნანუაშვილმა.



აქციაზე წამების იარაღების: ხელკეტის, ჯაჭვის, მარილის, აირწინაღის და სხვა საგნების გამოფენა იყო და მისმა მონაწილეებმა მცირე თეატრალიზებული წარმოდგენა გამართეს — ცხადლივ წარმოსახეს, როგორ აწამებს ე. წ. სამართალდამცავი ადამიანს.

ადამიანის წამების ფაქტებმა თანდათან იკლო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გულზე ხელები დავიკრიფოთ, რადგან საქართველოში წამების ფაქტი მაინც ბევრია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრიობამ ეს გააცნობიეროს და ამ პრობლემის მიმართ უფრო მგრძნობიარე გახდეს. ზოგადად კი, საუკეთესო რეაბილიტაცია პრევენციაა“, — აღნიშნა წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის სამედიცინო დირექტორმა ზურაბ ბებერაშვილმა.

აქციის მონაწილეებმა საინფორმაციო ბროშურები, ბუკლეტები, მაისურები და საჰაერო ბურთები დაარიგეს, ხოლო შემდეგ ავტოკორტეჟით ქალაქის ქუჩებში მსვლელობა გამართეს. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, აქცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სასჯელაღსრულებით დეპარტამენტთან შეჩერდა. ბოლოს კი, სახალხო დამცველის აპარატის წინ დასრულდა.

**მაია ხორგუაშვილი**

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

„ნარკომანს აქვს სამი მდგომარეობა: 1. ზის ციხეში, 2. მკურნალობს, 3. არც მკურნალობს და არც ციხეში ზის, თავისუფალია და სჩადის დანაშაულს. ამერიკელებმა გამოიანგარიშეს და დაადგინეს, რომ ციხეში მყოფ ნარკომანზე სახელმწიფო წელიწადში დაახლოებით 50 ათას დოლარს ხარჯავს, მის მკურნალობაზე – 20 ათას დოლარს, იმ შემთხვევაში კი – თუ არც მკურნალობს და არც პატიმრობაშია, სახელმწიფოს ნარკომანის შენახვა 150 ათასი დოლარი უჯდება. მაშ, მკურნალობა საუკეთესო გამოსავალია





ყოველივე დაფარული გაცხადდება

# კონსტანტინე გამსახურდია სოფელ ხიბულაში ღურწკაიების სახლისა და ოჯახის დაცვას მოითხოვს



**პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ თავმჯდომარემ კონსტანტინე გამსახურდიამ პარტიის ოფისში პრესკონფერენცია გამართა.**

მან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და საქართველოს გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს მიმართვა გაუგზავნა, სადაც კატეგორიულად მოითხოვს, დაიცვან ღურწკაიების სახლი სოფელ ძველ ხიბულაში შესაძლო განადგურებისაგან, ასევე, ოჯახის წევრების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა – მოსალოდნელი ფიზიკური ზეწოლისგან, ვინაიდან ეს ოჯახი, როგორც დანაშაულის მოწმე, ბევრ საიდუმლოს ინახავს. ხელისუფლებას კი, მისივე განმარტებით, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის უშუალო შემსრულებლად გამოცხადება სურს.

„ბოლო ხანებში მუქარა ფილმის „დინების საწინააღმდეგოდ“ გადამღები ჯგუფის მიმართაც გახშირდა. სამეგრელოში სიტუაციის გამწვავება გვედება ბრალად. აგრეთვე, ურთიერთობების დაძაბვა იმ ადამიანებსა და ოჯახებს შორის, რომლებიც 1993 წლის შემოდგომაზე დევნილ პრეზიდენტს მასპინძლობას უწევდნენ. ამ ყოველივეს მიზანი კი კონფლიქტების პროვოცირება და ფილმის მეორე ნაწილზე მუშაობის შეწყვეტაა. თუმცა, ფილმზე მუშაობა მაინც გრძელდება და მკვლელობის საიდუმლო ახლო მომავალში გაცხადდება“, – ამბობს კონსტანტინე გამსახურდია.

მისივე განმარტებით, მუქარა, ძირითადად მათი მხრიდან მოდის, ვინც უშუალოდ გადაადგილდებოდა და პრეზიდენტთან ერთად და მასპინძლობას უწევდა ბოლო პერიოდში.

კონსტანტინე გამსახურდიამ, ცოტა ხნის წინათ ედუარდ შევარდნაძის, სამხედრო საბჭოს წევრებისა და მაშინდელი პროკურატურისა და ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელობის დაკითხვაც მოითხოვა.

„ჯერჯერობით არავის ვადებთ ხელს. დაველოდებით შედეგებს. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ხელისუფლება პასუხისმგებელი იქნება მოსალოდნელ შედეგებზე ადამიანთა იმ ჯგუფთან ერთად, რომელსაც დღემდე არ სურს ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ნათელი მოეფინოს“, – დაასკვნა მან.

**სოფიო გოგლიძე**

პრობლემა

# რას ნიშნავდა წარწერა - „ქალაქში მკვლელია?“

*უშველის „მეტადონი“ ნარკომანებს?!*

**26 ივნისს, ნარკომანიისა და ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა.**

სიტყვებით გამოვიდნენ: ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გელა ლეჟავა, საქართველოს ანტინარკოტიკული კოალიციის კოორდინატორი ჯანა ჯავახიშვილი, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სამეცნიერო დარგში ხათუნა თოდაძე და სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭოს თავმჯდომარე თამარ სირბილაძე. პრესკონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ფონდი და ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

„ნარკომანს აქვს სამი მდგომარეობა: 1. ზის ციხეში, 2. მკურნალობს, 3. არც მკურნალობს და არც ციხეში ზის, თავისუფალია და სჩადის დანაშაულს. ამერიკელებმა გამოიანგარიშეს და დაადგინეს, რომ ციხეში მყოფ ნარკომანზე სახელმწიფო წელიწადში დაახლოებით 50 ათას დოლარს ხარჯავს, მის მკურნალობაზე – 20 ათას დოლარს, იმ შემთხვევაში კი – თუ არც მკურნალობს და არც პატიმრობაშია, სახელმწიფოს ნარკომანის შენახვა 150 ათასი დოლარი უჯდება. მაშ, მკურნალობა საუკეთესო გამოსავალია, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ პრესკონფერენციის მონაწილენი.

ქალბატონმა ჯანა ჯავახიშვილმა გამოკვეთა ის, რომ ჩვენი საზოგადოების მიერ წამოწყებული ანტინარკოტიკული კამპანიების უმეტესობა უშედეგოდ მთავრდება, ან უკურეაქციას იწვევს. ამგვარ, უშედეგო აქციებს შორის მან დაასახელა სუბოტექსის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა, რომელიც სულ ცოტა ხანში ჩაკვდა. რაც შეეხება წარწერებს – „ქალაქში მკვლელია!“ (რაშიც თურმე ნარკოტიკი იგულისხმებოდა – **ხ. ჩ.**ძ, ამან მხოლოდ შიში გამოიწვია მოსახლეობაში. შეშინებულ, დამფრთხალ ადამიანს არ შეუძლია გონივრული გადაწყვეტილებების მიღება, ეს საკითხი სულ სხვაგვარ, რაციონალურ მიდგომას საჭიროებს, – თქვა ქალბატონმა ჯანამ.

საინტერესო იყო ქალბატონ ხათუნა თოდაძის გამოსვლა. მან ჩანაცვლებითი თერაპიის პრობლემებზე იმსჯელა. ჩანაცვლებითი თერაპია შედარებით ხანგრძლივი ვადით პაციენტებისათვის ჩამანაცვლებელი ნარკოტიკული საშუალებების მიცემას გულისხმობს. ძირითადად, ასეთი პრეპარატებია მეტადონი და ბუპრენორფინი. ქალბატონი ხათუნას თქმით, მსოფლიოში 55 ქვეყანა სარგებლობს ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით. ერთ მილიონამდე ადამიანს უკვე მკურნალობენ ამ მეთოდით. „მკურნალობის დაწყებიდან 3 თვის შემდეგ პაციენტებში მცირდება შფოთვა და დეპრესია. მეტადონით მკურნალობა სჭირდება უკვე ჩამოყალიბებულ ნარკომანს, რომელზეც სხვა მკურნალობამ ვერ იმოქმედა. ამ ეტაპზე, მეტადონით მკურნალობას გლობალური ფონდი აფინანსებს და ის უფასოა“, – აღნიშნა მან.

ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიგი გეგელაშვილმა. განაცხადა, რომ პარლამენტმა უნდა განიხილოს სპეციალური კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს ნარკომანის როლს, მის ადგილს საზოგადოებაში...

საქართველოში 50 ათასამდე ნარკომანია. ამ ადამიანებს მხოლოდ დაპირებებითა და კანონპროექტებით ვერ ვუშველით. მათ რეალური მხარდაჭერა, თანადგომა სჭირდებათ. სხვაგვარად, ნარკომანების რიცხვი საქართველოში შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს!

**ხათუნა იმერლიშვილი**



26 ივნისს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა

# „არ დავცინით ამ ადამიანებს, ისინი ავადმყოფები არიან და უნდა გადავარჩინოთ“

**ნარკომანია ნელი სიკვდილია. ნარკომანი სპობს არა მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეს, არამედ დამანგრეველ ზეგავლენას ახდენს ოჯახის წევრების, ახლობლების ფსიქიკაზე, საზოგადოებაზე. ამის მიუხედავად, ნარკომანია მაინც ვრცელდება და სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს.**

ასეთ ვითარებაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს პოპულარული ადამიანების პოზიციას – რას ეტყვიან, რას ურჩევენ მომავალ თაობას, ახალგაზრდებს.

ამა წლის 25 და 26 ივნისს, თბილისში, ფართომასშტაბიანი ანტინარკოტიკული აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორები იყვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდთან არსებული ანტინარკოტიკული ცენტრი და საზოგადოებისათვის ცნობილი, პოპულარული ადამიანები. აქცია 2 დღის მანძილზე გრძელდებოდა.

25 ივნისს, ქიაჩელის ქუჩაზე, „დუტას კაფეში“, შეიკრიბნენ ცნობილი მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები, მასმედიის წარმომადგენლები...

თითქმის ყველას ეცვა მაისური წარწერით – „ნარკომანია სირცხვილია“, გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც წარმოადგინეს რეჟისორისა და სცენარის ავტორის გიორგი გურგულიასა და საპატრიარქოს ანტინარკოტიკული ცენტრის ერთობლივი კინოპროექტი – კომენტარის გარეშე“. პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ფილმის იდეური საფუძველი ნარკომანიის გაშარჟება, საზოგადოებაზე კეთილისმყოფელი ფსიქოლოგიური ზემოქმედების, ანუ ნარკოტიკების მოხმარებისადმი უარყოფითი განწყობის შესაქმნელად ტრაგი-კომედიური ჟანრის გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებაა.

– არ დავცინით ამ ადამიანებს, – თქვა აქციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ფსიქოლოგმა თეა გოგოტიშვილმა, – მიგვაჩნია, რომ ნარკომანი ავადმყოფია და ის უნდა გადარჩეს. გადარჩენის ერთადერთი გზა კი რწმენაში, სულიერებაში უნდა იპოვნოს. მასმედიის მიერ ამ უმძიმესი საკითხის გაშუქება ხანდახან უკუშედეგის, ნარკომანიის რეკლამის ფორმას იღებს, რადგან არ ითვალისწინებს ფსიქოლოგიური ზემოქმედების მექანიზმებს. არ შეიძლება ამ თემაზე მსუბუქი და ნაჩქარევი მსჯელობა. ყველაფერი გააზრებული და გათვალისწინებული უნდა იყოს. ფსიქო-სოციალური ზემოქმედება უმნიშვნელოვანესი ბერკეტია ნარკომანიის პრევენციისათვის.

რეჟისორმა გიორგი გურგულიამ თქვა, რომ ეს აქცია კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით იმართება. მისივე კურთხევით უნდა გადაიღონ ფილმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დუტა სხირტლაძე, ზაზა პაპუაშვილი, გოგოლა კალანდაძე, მალხაზ ქვრივიშვილი, დათო ხურცილავა, ზურაბ ყიფშიძე და სხვები. „ეს ფილმი იქნება თავისებური გზავნილი ახალგაზრდებისთვის. გვინდა, შემოვიკრიბოთ რაც შეიძლება ბევრი ხალხი, გავერთიანდეთ ანტინარკოტიკული ფონდის ირგვლივ და საზოგადოებას ჩამოვუყალიბოთ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ნარკოტიკებისადმი. „ნარკომანია სირცხვილია!“ – ეს სიტყვები პირველად ჩვენმა პატრიარქმა წარმოთქვა და ის ყველამ ერთად უნდა გავიმეოროთ. ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა ამ დამღუპველი სენის წინააღმდეგ საბრძოლველად“, – აღნიშნა მან.

აქციის „მასპინძელმა“ დუტა სხირტლაძემ გამოკვეთა ამგვარი ღონისძიებების მნიშვნელობა: „გვინდა, საზოგადოებას მივაწვდინოთ ხმა, გვინდა ვუთხრათ შვილებს, ახალგაზრდობას – არც კი გაიხედონ ნარკოტიკებისკენ.

გადავიღებთ კლიპებს, ფილმებს, შეძლებისდაგვარად ვეცდებით შევებრძოლოთ ამ უმძიმეს პრობლემას და გადავარჩინოთ მომავალი თაობა“.

ითქვა, რომ საქმეში უნდა ჩაერთონ სასულიერო პირები, ექსპერტები, ფსიქოლოგები. ყველა უნდა გაერთიანდეს ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად პატრიარქის, ჩვენი ეკლესიის ირგვლივ, რათა ვიხსნათ ახალგაზრდები ნარკოგენოციდისაგან.

მეორე დღეს, სამების საკათედრო ტაძრის „ახალგაზრდულ ცენტრში“ გაიმართა კონკურსი „ნარკომანია მოზარდების თვალით“. ღონისძიების ინიციატორია პატრიარქის საერთაშორისო ფონდთან არსებული ანტინარკოტიკული ცენტრი. ღონისძიება და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს – 26 ივნისს მიეძღვნა.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**● როდის მოელება ბოლო თქვენი პოლიტიკის ყოვლად უმწეო და უილაჯო ორჭოფობას, როგორც მაგალითად, გამოსჭვივის თქვენი წერილის ყოველ სტრიქონში? როდის დაწყნარდება ეს თქვენი დაუსრულებელი „თუ“ და „სათუოება“ საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნის საკითხში?**



**◉ არქივი**

*მე-20 საუკუნის უკანასკნელ წლებში დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის, სამხედრო და განათლების მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის პიროვნებამ.*

*გრ. ლორთქიფანიძე თავის შემოქმედებაში არაერთხელ შეეხო ქვეყნისა და სახელმწიფოსთვის მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა: ეროვნული საკითხი, სოფელი და გლეხი, ქალაქი, პოლიტიკური რეპრესიები და სხვა. დიდ ყურადღებას იპყრობს მისი შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე. განსაკუთრებით გამოყოფს ქართული ენისადმი დამოკიდებულებას.*

*საინტერესოა გრ. ლორთქიფანიძის წერილი მარიამ ორახელაშვილისადმი, განსაკუთრებით, „თურქი მესხების“ თაობაზე დღეს გაშლილი დისკუსიის პირობებში.*

*მარიამ ორახელაშვილი (ქალიშვილობაში მიქელაძე.1887-1937 წ.წ.ძ იყო რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე საქართველოსა და კავკასიაში. 1920 წ. მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად, შემდეგ – საქართველოს განათლების სახალხო კომისრად.*

*გრ. ლორთქიფანიძის წერილის დედანი მოძიებულია საქართველოს პრეზიდენტის არქივში. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.*

ვიმეორებ: არავითარი განსაკუთრებული აჭარელი, ახალციხელი ან ქობულეთელი ერი, ანუ ნაცია არ არსებობს და არც იარსებებს. არსებობს ქართველი ერი, რომელიც რამდენადაც, ჯერ ის რელიგიას მისდევს, დანაწილებულია სარწმუნოების მხრივ მართლმადიდებლად, მაჰმადიანებად, კათოლიკეებად, გრიგორიანებად, მოსეს რჯულის აღმსარებლებად, თითქმის ყველა ამათ საკმაოდ ახლავთ წარმართული რელიგიის ადათ-წესები და სხვა.

# „საკვირველნი ყოფილან გზანი იდუმალნი ოქტომბრის რევოლუციის ინტერნაციონალიზმისა“

## გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი მარიამ ორახელაშვილს

პატივცემულო ქალბატონო მარიამ!

...კარგა ხნის წინეთ წავიკითხე თქვენი წერილი „სახალხო განათლების საქმე საბჭოთა აჭარისტანში“ და ერთბაშად ამ წერილისადმი გამოხმაურების ჟინმა ამიტანა, მაგრამ ეს ჟინი დავსძლიე... მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ აჭარისტანის გასაბჭოების ექვსი წლის იუბილეს გამო გაზეთების მიმოხილვებმა და წერილებმა ხელახლა აღმიძრეს სურვილი, იმ თქვენ საყურადღებო წერილს გამოვეხმაურო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თქვენმა წერილმა შემაშფოთა ეროვნულად (თქვენ იტყვით „ნაციონალისტურ-იმპერიალისტურად“, ისე მოქალაქეობრივ-სოციალისტურად, ანუ თქვენი კვალიფიკაციით – „სოციალ-გამყიდველურად“ძ და, აი, რატომ.

ჩვენ, თქვენ და მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთის საბჭოთა აღმოსავლურ პოლიტიკას, ეგრეთ წოდებულ აღმოსავლეთ ზვარაკად შეეწირა სომხეთი და, ნაწილობრივ, საქართველო. ეს საშინელება ისტორიული ფაქტია, მაგრამ რა გაეწყობა. ასეთი ყოფილა სომხეთისა და საქართველოს ისტორიული ბედი. დავუშვათ, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო აუცილებლად იმ ხანებში სოციალისტური რევოლუციის მზის თანმხლები შავი წერტილები, მწარე გრიმასები. მეგონა, რომ საქართველომ უკვე გამოიღინა საერთოდ ისლამურ, და, კერძოდ, თურქულ სამსხვერპლოზე ამდენი სისხლი. მაგრამ, ვაი რომ, ეს ასე არ ყოფილა, და ამ მთავარ ამბავს თქვენი წერილიდან ვგებულობ.

თქვენი სიტყვით, აჭარისტანად წოდებული აჭარა ცალკე, „ნაციონალური რესპუბლიკა“ ყოფილა. „ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნების ბავშვები, გარდა აჭარლებისა, სწავლობენ“ და სხვა. შემდეგ თქვენ მოგვითხრობთ, რომ აჭარისტანის გასაბჭოების პირველ ხანებში ნებადართული იყო საღვთო სჯულის სწავლება. ეხლაც დართული აქვთ ნება, ხოლო თვით მცხოვრებთა ხარჯით, 157 მეჩეთთან ამდენივე მედრესე არსებობს, სადაც თურქები ისწავლიანო, გარდა ამისა, თქვენი ცნობით, აჭარისტანის სკოლების პირველ საფეხურში შემოღებული ყოფილა სავალდებულო სასწავლად თურქული ენა, რომელსაც, თურმე, იგივე ხოჯები და თურქი მასწავლებლები ასწავლიან, რადგანაც ხოჯები თურქულ ენასთან ყურანსაც კონტრაბანდად ურთავენ, თქვენ სვამთ საკითხს ასე: თუ საჭიროა თურქულის სწავლება, მაშინ მეორე საფეხურშიაც შემოვიღოთ, რათა ოსმალური ენის საბჭოთა მასწავლებლები მოვამზადოთო... და ბოლოს, თქვენი წერილი შემდეგი დაუჯერებელი სტრიქონებით სრულდება: ეხლა საუკეთესო ქართველი მასწავლებლები მუშაობენ აჭარაში. მაგრამ ეს დროებითია, სანამ აჭარელი პედაგოგები არ იქნებიან სათანადოდ მომზადებულნი. ხოლო ამ საოცარ სტრიქონებს ზევით მეტად „სასიამოვნო და დამამშვიდებელ“ ამბავს მოგვითხრობთ იმის შესახებ, რომ საქართველოსა და აჭარას შორის საომარი ურთიერთობა არ ყოფილა, თურმე ამ „ორ მეზობელ სახელმწიფოთა“ შორის ნორმალური მეზობლური ურთიერთობა არსებულა: „აჭარისტანისა და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთა შორის ურთიერთობა ძალიან კარგია“-ო. და ასე წარმოიდგინეთ „ურთიერთ ინფორმაცია და გამოცდილების გაზიარებაც“ კი არსებულა (დაახლოებით ისე, როგორც განათლების მუშაკთა ინტერნაციონალში – არა? გრ. ლ.ძ.

პირველ ყოვლისა, აჭარა არის აჭარა და მას არც არავის „ტანი“ და არც ფეხი დასაბოლოებლად არ ესაჭიროებოდა.

მეორე: არავითარი აჭარელი ერი და ეროვნება არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. სამცხეში ქართველობა სარწმუნოების მხრივ იყოფა მართლმადიდებლებად, მაჰმადიანებად, კათოლიკეებად და მოსეს რჯულის ქართველობად (რამდენადაც ვიცი, იქ ქართველი გრიგორიანები ძლიერ ცოტანი არიანძ, ხოლო აჭარის ქართველობა სარწმუნოების მხრივ ორ მთავარ ჯგუფს წარმოადგენენ – მაჰმადიანებსა და მართლმადიდებლებს. რა თქმა უნდა, აჭარა არავითარ საქართველოდან განცალკევებულ ეროვნულ რესპუბლიკას არ წარმოადგენს და ვერც წარმოადგენს.

აბა, მიბრძანეთ ერთი, რა მოხელეა თურქული ენა ბათუმის ოლქის სკოლებში?! რა აქვს საერთო აჭარასა და აჭარლებს ოსმალებთან, გარდა იმისა, რომ უკანასკნელნი პირველთა ისტორიული ჯალათები იყვნენ და ცეცხლითა და მახვილით ყურანის რჯული მიაღებინეს. კარგი, ბატონო, მათ აქვთ ეხლა საერთო რელიგია, მაგრამ მაჰმადის რელიგია მრავალ სხვა და სხვა ერს აქვს: თურქებს, არაბებს, სპარსელებს, ეგვიპტელებს, ინდუსებს (ნაწილობრივძ, ალბანელებს (ნაწილობრივძ, სერბებს (ბოსნიაშიძ და სხვა. როგორც ხედავთ, ამ ხალხებს თავისი ეროვნული სახეები აქვთ და ისლამს ისინი არ გაუთურქებია. რა შუაშია თურქული ენა! თუ სარწმუნოების საქმე მოითხოვს, მაშინ კიდევ ჰო, არაბული ენის შესახებ შეიძლებოდა ლაპარაკი. თურქულ ენას სრულიად არაფერი ესაქმება არც აჭარისა და არც გურიის, არც ქობულეთისა და არც მესხეთის, და არც საერთოდ საქართველოს სკოლებში, გარდა უნივერსიტეტის სპეციალური კათედრისა და სხვა.

საქართველოს ბედი ისე წავიდა, რომ რუსული ენა საბჭოურ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ბრუნდება ჩვენს სკოლაში და დღითი დღე ახალ პოზიციებს იღებს, ის ლამობს თავის ძველი მდგომარეობის დაბრუნებას. მან უკვე მეტწილად განდევნა ქართული სკოლიდან ევროპული ენები და მათ ადგილს იჭერს... კარგი, ჩემო ბატონო, ამას უნდა შევურიგდეთ და დავმორჩილდეთ, რადგან ასეთი, საკვირველნი ყოფილან გზანი იდუმალნი ოქტომბრის რევოლუციის ინტერნაციონალიზმისა“. თურქული ენის სწავლებიდან მაინც გაანთავისუფლეთ ქართველი ბავშვები, განურჩევლად მათი მშობლებისა და წინაპართა სარწმუნოებისა, საზეიმოდ აღვთქვამთ, რომ გვესმის ოქტომბრის რევოლუციის წმინდა ენის უპირატესობა ინგლისურ-ფრანგულ-გერმანულ და სხვა ბურჟუაზიულ ენებთან შედარებით და კიდეც ვეცდებით მის სწავლას, მაგრამ თუ კიდევ მას თურქულიც დაუმატეთ, ღმერთმანი, ველარ გაუძლებს ამას ვერც ქართველი ბავშვები და ვერც ქართული კულტურა. საბჭოთა საქართველოს არსებულ საზღვრებში მაინც გაგვანთავისუფლეთ ოსმალეთის ბატონობისგან. ეს მაინც შეასრულეთ რამენაირად და არამც თუ წართმეულ ჯიქეთზე არაფერს ვიტყვით, არამედ იმაზედაც გავჩუმდებით, რომ ამ ბოლო დროს რუსეთმა უკვე კონსტიტუციონალურად დაუმტკიცა რუსულ ენას თვით აფხაზეთი და სამურზაყანო...

ალბანეთის ერს თუ შეუძლია თავის თავი ერთ ნაციად იცნოს, თუ ალბანელი კათოლიკეები, მაჰმადიანები და მართლმადიდებელნი მთლიან ეროვნულ ოჯახად არის ნაცნობი ყველას მიერ, თუ ახმედ ზოგუს საწყალ ალბანეთს შეუძლია ასეთ ეროვნულ, ზერელიგიურ, ერთობის სიმაღლეზე იგრძნოს თავისი თავი, ნუთუ მახარაძისა და ცხაკაიას, ორახელაშვილისა და ელიავას მიერ ხელმძღვანელებული საქართველოს ეროვნული მეობისა და მოქალაქეობრიობის შეგნება ისე დაკნინდა და ისე ძალა მიხდილია, რომ რელიგიური და სექტანტური პრინციპების წინ დაიჩოქა?! ნუთუ ასეთ ყოფაში ჩავარდა თამარისა და რუსთაველის საქართველო მეოცე საუკუნეში?

პატივცემულო, ქალბატონო მარიამ, აბა ერთი მიბრძანეთ – რომელ ნაციას ეკუთვნის, ან რომელი ეროვნული რესპუბლიკის მოქალაქე უნდა იყვეს თქვენი გვარის კაცი მესხეთელი მიქელაძე – იმავე საქართველოსი, როგორც თქვენ, თუ არაბეთის, ან ოსმალეთის, მხოლოდ იმიტომ, რომ მას სახელად ფარსადანი კი არა, ოსმანი ჰქვია. ან კიდევ იმავე აჭარის სახალხო განათლების მეთაური, თქვენ მიერ ქებული, ჩემი გვარის კაცი (და რამდენადაც ვიცი, ნათესავიძ სულეიმან ლორთქიფანიძე იმიტომ უნდა იქნას თურქად აღიარებული, რომ მას სოლომონი კი არა სულეიმანი ჰქვია, და მისმა პაპამ, თუ პაპის მამამ დაახლოებით გასული საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მაგიერ მაჰმადი იწამა (ხოლო სულეიმანს, უნდა ვიფიქროთ, არც ერთი სწამს და არც მეორეძ?

მესხეთი ახალციხით, აჭარა-ქობულეთი ბათუმით ან იქნებიან საქართველოს განუყრელი, ორგანულად შეხორცებული ნაწილი, ანდა საქართველო არ იქნება. შესაძლებელია ეს უკანასკნელიც მოხდეს: ვინ იცის – იქნებ ახლად მოვარდნილმა ისლამურმა ტალღამ საბოლოოდ მიაღწიოს თავის მიზანს კავკასიაში, ესე იგი... კავკასია საბოლოოდ გაწმინდოს ქართველი და სომეხი ერების ნაშთებისაგან. რა გაეწყობა, თუ კი ასეთი რამ „გვიწერია ბედის წიგნში“, მაგრამ თქვენ, თქვენ კი როდის გაათავებთ ამ საკითხის უმწეო ლეჭვასა და ცოხნას? როდის მოელება ბოლო თქვენი პოლიტიკის ყოვლად უმწეო და უილაჯო ორჭოფობას, როგორც მაგალითად, გამოსჭვივის თქვენი წერილის ყოველ სტრიქონში? როდის დაწყნარდება ეს თქვენი დაუსრულებელი „თუ“ და „სათუოება“ საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნის საკითხში?

კითხვა ასე დგას: ქართველ ერს, თუმცა არა სავსებით და საკმარისად, მაგრამ, ავად თუ კარგად, თავისი ეროვნული სახე და მეობა დაუბრუნდა. საქართველოს კარგა მოზრდილი ნაწილი ოსმალეთს დარჩა (გარდა ჩრდილო-დასავლეთის და აღმოსავლეთის კუთხეებისა, რომელნიც რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებში დარჩნენძ. საქართველოს თითქოს ეხლა უნდა მისცემოდა საშუალება, რომ თავის სხეულის განაწამები ნაწილები რამდენიმედ მაინც მოეშუშებია. თუ სხვა არა, სამცხე, აჭარა, ქობულეთი მაინც გაანათლოს, მოასულიეროს, შეიხორცოს და შეიდედოს საქართველომ. ამ თავის დაზარალებულ შვილებს მეტის ყურადღებით და მეტი გარჯის გაწევით უნდა მიხედოს საქართველომ, ვიდრე გურიას, იმერეთსა, აფხაზეთსა და სხვას. ეს სრულიად უდაო რამ არის. თქვენ კი თქვენი ორჭოფობით არ უშუშებთ ძველ იარებს და ჭრილობებს ამ რაიონებს, პირიქით!

ქართველი ხალხი, რასაკვირველია, მეოცე საუკუნეში არ მოითხოვს თქვენგან, რომ ახალციხელი მიქელაძეები და აჭარელი ლორთქიფანიძეები ჩაყაროთ ჯაყის წყალში და აჭარის წყალში, რათა ხელახლა ქრისტიანულად გადმონათლოთ, მაგრამ ერთ რამეს კი უეჭველად მტკიცედ მოითხოვს – დაანებეთ თავი და აქტიურად შეებრძოლეთ იმ მსუნაგ პანისლამისტურ იმპერიალიზმს, რომელიც დღესაც განაგრძობს ქართველ მაჰმადიანთა თურქულ აზროვნებაში გადანათვლას! არავითარი ისლამური მედრესეები და არც სხვა რჯულის სამრევლო სკოლები არ სჭირია საქართველოს დღეს. დაე, საქართველოს კულტურის ისტორიულ აკვანში, მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, ხელახლა დაირწეს რევოლუციის მიერ ახლად აღორძინებული ქართული კულტურის თავისუფალი აკვანი! უნდა აყვავდეს და გაძლიერდეს ქართული სკოლა, ქართული ენა, ქართული განათლება საქართველოს ამ კუთხეებში!

ამას მოითხოვს თქვენგან და თქვენ თანამმართველთაგან არა მარტო ისტორია და თანამედროვეობა, არა მარტო ქართველი ხალხი და საქართველო, არამედ თქვენი საკუთარი რწმენა და მოქალაქეობრივი სინდისიც, თუ კი, რა თქმა უნდა, რასაც სიტყვით ამბობთ, მეტწილად მაინც გწამთ. თუკი მეტწილად მაინც შეგიძლიათ „გულწრფელი სიყვარული და პატიოსანი სიძულვილი“.

პატივისცემით

**გრიგოლ ლორთქიფანიძე,**
რუსეთი, ქალაქი კურსკი,
ბოლშევიკების ქუჩა №27.
1927 წელი, მარტი 29.

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

დღევანდელობა

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში, საიდანაც ოქროს მდინარის თუ არა, ნაკადულების შემოდინებას მაინც ველოდით, შავმა კატამ გაირბინა!**



◎ SOS!

# ღერეფანში შავმა კატამ გაირბინა...

## საქართველო კარგავს აზიურ ტვირთებს, რომელთაც რუსეთი ეპატრონება

*სულ ახლო წარსულში ხელისუფლება (ძველიც და ახალიც) იმის ილუზიით გვკვებავდა, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სტრატეგიული ქვეყანა, წარმატებით გამოიყენებდა თავის გეოგრაფიულ უპირატესობას და მას სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდის უტყუარ წინაპირობად აქცევდა. მას შემდეგ, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ამოქმედდა და დამატებით ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობის შანსი გაჩნდა, ხელისუფლების მხრიდან კვეხნა-ბაქიობის შანსმაც იმატა, მაგრამ რატომღაც, ყოველივე ამის მიუხედავად, რეალობა შემოგვწყრა — ვერც ქვეყნის ეკონომიკამ მოიკიდა ცხიმი და ვერც ხალხმა ამოისუნთქა გაუსაძლისი გაჭირვებიდან.*

*ეგ კი არა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში, საიდანაც ოქროს მდინარის თუ არა, ნაკადულების შემოდინებას მაინც ველოდით, შავმა კატამ გაირბინა! მისი უადგილო გამოჩენა რომ კარგს არაფერს მოასწავებს, ამას უკანასკნელ პერიოდში მომხდარი მოვლენებიც ადასტურებს.*

სურათი ასეთია. როგორც უკვე ვწერდით, მეზობელი აზერბაიჯანის გადამზიდავმა კომპანიებმა შარშან ნოემბერში ტრანსპორტირების ტარიფები გაზარდეს — ერთი ტონა ნავთობის გადაზიდვამ აქტაუ-ბაქოს მონაკვეთზე 5 დოლარით მოიმატა. ეს შეიტყო თუ არა რუსეთმა, სიტუაცია კაი მეძებარივით იყნოსა და საქართველოსთვის შემოსავლების წართმევის მიზნით აქტაუ-მახაჩკალა-ნოვოსიბირსკის მარშრუტზე ტარიფები სასწრაფოდ დასწია. პარალელურად ყაზახეთმა და თურქმენეთმაც გვიგანეს. — ტვირთების გაგზავნა რუსეთისა და ირანის მარშრუტით დაიწყეს და საქართველო, როგორც იტყვიან, „ობსაიტში“ დატოვეს.

შედეგი? შედეგად ის მივიღეთ, რომ მას შემდეგ საქართველოს რკინიგზა ყოველთვიურად დაახლოებით 200-250 ათას ტონა ტვირთს კარგავს და მილიონობით დოლარის ზარალს ნახულობს.

ხელისუფლება? ხელისუფლება დარბის, ხან ერთ ქვეყანას მიუკაკუნებს კარს, ხან მეორეს, მაგრამ იქიდან საიმედო ვერაფერი გამოაქვს. ტარიფების დარეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ აზერბაიჯანელ და ყაზახ კოლეგებთან არაერთი შეხვედრა გამართა, პირადად პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი საგანგებო ვიზიტით სპეციალურად ეწვია ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს, თვით თბილისშიც მოეწყო საქართველოს, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის სატრანსპორტო უწყებების წარმომადგენელთა შეხვედრა, მაგრამ ვერ ვირწმუნებთ, რომ ყოველივე ამან რაიმე შედეგი გამოიღო.

ასეა, ტვირთის დაკარგვა ადვილია, დაბრუნება ძნელი! თანაც სამომავლოდ თუ უფრო უარესს ელოდები? შენ ფიქრობ, რომ ძველი პარტნიორი არ გიგონებს, ის კი თურმე სხვას ეკურკურება და საკუთარი ბიზნესის გაფართოების გზებს ეძებს.

სხვაგვარად ვერ აღიქვამ ყაზახეთის პრეზიდენტის ამასწინანდელ წინადადებას, რომელიც მან სანკტ-პეტერბურგში გამართულ დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას დააყენა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ რუსეთი და ყაზახეთი ააშენებენ საზღვაო არხს, რომლითაც ეს უკანასკნელი თავის ნავთობს დასავლეთ ევროპაში გაიტანს. არხი, რომელსაც მისმა ავტორებმა „ევრაზია“ დაარქვეს, კასპიისა და შავ ზღვებს დააკავშირებს და ტვირთთა ნაკადები აუცილებლად რუსეთის ტერიტორიაზე გაივლის. ნაზარბაევის თქმით, რუსეთის სატრანზიტო გზა შუა აზიის ქვეყნებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იმიტომაც არის, რომ მათ მსოფლიო ოკეანეში თავისუფლად გატანის საშუალებას აძლევს.

ექსპერტთა მონაცემებით, ახალი არხი ვოლგა-დონთან შედარებით ბევრად მოკლე იქნება და, ბუნებრივია, შუააზიური რესურსების ევროპაში ტრანსპორტირებისთვის უფრო მოსახერხებელიც. „ევრაზია“ 650 კილომეტრზე გადაიჭიმება, აქედან 270 კილომეტრი სტავროპოლის მხარეში მოექცევა.

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

### ბოკერია იუსტიციის საბჭოს წევრად დანიშნეს

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი იუსტიციის საბჭოს წევრად გიგა ბოკერიას დანიშვნას ადასტურებს.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, ამ საკითხზე ფრაქციაში მოლაპარაკება მიმდინარეობს. რაც შეეხება ოპოზიციის მოსაზრებას, რომ ხელისუფლება ამით საბოლოოდ ასრულებს სასამართლოზე კონტროლის განხორციელებას, მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ გიგა ბოკერია არის ერთ-ერთი ლიდერი მათი პარტიის და, რა თქმა უნდა, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე სწორედ მისნაირი ადამიანები უნდა დაინიშნონ.

მისი თქმით, იუსტიციის საბჭოში გიგა ბოკერიას დანიშვნა არის კიდევ ერთი ნაბიჯი, რომ სასამართლო რეფორმა წარმატებით დასრულდეს.

გიგა ბოკერიას კანდიდატურას იუსტიციის საბჭოში, სავარაუდოდ, რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცებენ.

ინტერპრესნიუსი

◎ მიწისძვრა ჩვენს სულებში

# 15 წლამდე ბავშვები საზაფხულო ბანაკებში არ დაიშვებიან!

*ზაფხული სიცხესთან, ნაყინთან, ზღვასთან და დასვენებასთან ასოცირდება ხოლმე. განსაკუთრებით ბავშვებისთვის არის სასიხარულო, რადგან სწორედ ამ სეზონს ემთხვევა არდადეგები. ვინ სოფელში მიემგზავრება, ვინ ქალაქგარეთ, ზოგიც — მთაში თუ ზღვაზე.*

*ეს სტრიქონები უფრო საბჭოთა საქართველოს გაზეთის ფურცელს თუ მოუხდებოდა, ვიდრე დღევანდელს, რამეთუ უმეტესობისთვის ეს პერიოდი შინ ჯდომის სატანჯველია, ან სადღაა ყოველი მოწადინებისას მისართმევი ნაყინისა თუ ლიმონათის ფული, ზღვაზე და კურორტზე საუბარი ზედმეტია.*

*მშობლებს ცხოვრების ჭაპნის ზიდვა უჭირთ, შვილებს კი — ასეთ ცხოვრებასთან შეგუება...*

მაგრამ ხომ არის „პატრიოტთა ბანაკებიო“, შეიძლება იკითხოს მავანმა, — უფასო და სავალდებულოც კი. დიახ, არის, მაგრამ „პატრიოტული“ ასაკი და საბავშვო ასაკი თურმე სხვადასხვაა. „პატრიოტული“ საარჩევნო ხმებისთვის საჭირო ან მასთან მიახოებული ასაკია (15-22 წელიძ, „არაპატრიოტული“ კი — უფრო პატარა. საზაფხულო ბანაკი ამ თაობებისთვის ერთნაირად საჭიროა, თუმცა პრეზიდენტს დიდები სჭირდებიან, პატარები — ჯერჯერობით არა.

ბანაკებზე სასაუბროდ თბილისის მერიაში „მოცლილი პირი“ ვერ გამოიძებნა და, „პატრიოტები“ ჩვენ არ გვეხებაო, მიპასუხეს. შემდეგ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დირექტორის მოადგილეს **ნოდარ გოდერძიშვილს** ვესტუმრე:

— აი, უკვე ორი წელია, ბანაკები არა გვაქვს. აქამდე სულ იყო, „შევარდნაძის პერიოდშიც“. ქალაქგარეთ ვინც ვერ გადიოდა, მათთვის აქვე ვხსნიდით, რა თქმა უნდა, უფასოდ.

ძალიან ბევრ მშობელს იმის შესაძლებლობა არა აქვს, რომ სადმე წაიყვანოს ბავშვი და უფასო ბანაკი შვება იქნებოდა მათთვის. მაგრამ ხომ გეუბნებით, ამ მხრივ ბიუჯეტი არ გვაფინანსებს... შეიძლება, სხვაგან არის სადმე რამე, არ ვიცი. გირჩევთ მიმართოთ განათლების სამინისტროს.

**— რა ღირდა ადრე ბავშვთა კვება?**

— დღეში 2-3 ლარი. პედაგოგები შვებულებაში არ გადიოდნენ და ხელფასს იღებდნენ. ჩვენ მერია გვაფინანსებდა...



განათლების სამინისტროში ბავშვთა ზრუნვის განყოფილებაში **ლელა ცქიტიშვილს** გავესაუბრეთ:

— გვქონდა ბანაკები 2005 წლის აგვისტოში, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის. 160 ბავშვმა დაისვენა აბასთუმანსა და ქობულეთში. მაშინ განათლების სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი, სადაც გაიმარჯვა „ბავშვთა ფონდმა“ და მან განახორციელა ეს პროექტი. წლეულსაც აპირებს სამინისტრო ტენდერის გამოცხადებას, ისევ ბავშვთა სახლებისთვის, ასევე ოსი ბავშვებისთვის.

**— ჩვეულებრივი ოჯახის ბავშვებისთვის?**

— არა, მათთვის არაფერია.

„ბავშვთა ფონდი“ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც 17 წელია არსებობს. თავმჯდომარის მოადგილე **მაკა ქემხაძე** ამბობს, — ***„ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, თუკი რამე ტენდერი გამოცხადდება, სულ ვიღებთ მონაწილეობას. უმეტესად ვიმარჯვებთ. მიმაჩნია, რომ ამდენი ბავშვის ერთად თავმოყრა და ყურადღების მიქცევა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და დილეტანტმა არ უნდა აკეთოს.***

***ადრე იყო პროგრამა „საქართველოს მომავალი“ და ყოველწლიურად 2000 ბავშვს ვასვენებდით. წელსაც გამოცხადდება, ალბათ, ტენდერი, თუმცა, ჩემი აზრით, ეს უნდა გაკეთდეს არა მარტო მზრუნველობამოკლებულთათვის, არამედ — ყველასთვის. ერთად უნდა იყვნენ ინტეგრირებული ელიტარული, სოციალურად დაუცველი და ჩვეულებრივი ოჯახების ბავშვები, ინვალიდები და ა.შ.“***

მართლაც, ყველა ბავშვი ბავშვია, მისი სოციალური სტატუსის მიუხედავად. მზე ყველასთვის ერთნაირად ცხელია ზაფხულში „პატრიოტისთვისაც“ და „მომავალი პატრიოტისთვისაც“, ქართველისთვისაც, ოსისთვისაც, აფხაზისთვისაც. კარგია, „ბავშვთა სახლების“ აღსაზრდელებზე ზრუნვა, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ამ გაუსაძლისი ცხოვრების ორომტრიალში კომფორტულად გრძნობდნენ თავს თუნდაც იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა მშობლებს თაკარა მზეში უწევთ მუშაობა.

სახელმწიფო ვალდებულია ერთნაირად იფიქროს ყველა პატარაზე, რადგან მართალია, ძალიან ბევრს ჰყავს მშობელი, მაგრამ „მთავრობის ხელშეწყობით“ მათი პატარები ხშირად მშობლიურ სითბოსა და მზრუნველობას მოკლებული არიან.

**თეა მოსია**

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

# ეკონომიკა

● რუსეთმა ჯერ ეკონომიკური ემბარგოს გამოცხადებით გვაწრუწუნა, ახლა კი აზიური ტვირთების დაკარგვით გვემუქრება. ამ მხრივ მას მოღალატეობასა და პირგამტეხლობას ვერ დავწამებთ, რადგან გვემუქრება, ეტყობა, შეასრულებს კიდეც!



SOS!

## დერეფანში შავი კატა გაირბინა...

(მეხუთე გვერდიდან)

პროექტი ასევე მოიცავს 329-კილომეტრიან უკვე არსებული მანიჩსკის არხის რეკონსტრუქციას. მისი საორიენტაციო მინიმალური ღირებულება 4-4,5 მილიარდი ევროა. მეორე შტოს — ვოლგა-დონის მშენებლობა კი სავარაუდოდ 5 მილიარდი ევრო დაჯდება.

რა თქმა უნდა, ახალი სატრანსპორტო არხის მშენებლობით მარტო ყაზახეთი კი არა, ევროპული ქვეყნებიც არიან დაინტერესებული, ასევე, ირანი, ნავთობით მდიდარი სპარსეთის ყურის ქვეყნები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩინეთიც. ამაში გასაკვირი არაფერია, ყაზახეთის უდიდესი ნავთობის საბადო, რომლის მარაგი 7-9 მილიარდი ტონის ტოლია, ხომ სწორედ კასპიის ზღვის ამ აუზში მდებარეობს.

უფრო მთავარი კი ის გახლავთ, რომ რუსეთი ამ არხის აშენებით საკუთარ ამბიციებს დაიკმაყოფილებს, ეკონომიკურადაც გაძლიერდება და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ამოქმედებით მიყენებულ წყენასაც გაიქარწყლებს. ამის თაობაზე ნურსულთან ნაზარბაევმა თავის გამოსვლაში არაორაზროვნად მიანიშნა: **„ჩვენი რუსი კოლეგების მხრიდან,** — თქვა მან, — **კრიტიკა ხშირად გვსმენია, თითქოს ყაზახეთი რუსეთს გვერდს უვლის. მათ ხან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ხანაც ჩინეთის მაგალითი მოჰყავთ. ჩვენ მხოლოდ პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის ხელსაყრელ გზებს ვეძებთ და წმინდა ეკონომიკური პრინციპით ვხელმძღვანელობთ. მე ვთავაზობ რუსეთს, აკეთოს საქმე — ავაშენოთ ახალი კორიდორი. ეს პროექტი უნდა განხორციელდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ყაზახეთის მიერ შეთავაზებული "ევრაზიის" მშენებლობის საკითხი არ დაკმაყოფილდება, მაშინ ყაზახეთი რუსეთს ალტერნატივას მოუძებნის".**

ყაზახეთი კი მოუძებნის რუსეთს ალტერნატივას, მაგრამ დიდ მეზობელთან ეკონომიკურ „პაექრობაში" თუ „ჭიდილში" ჩვენ რომ ყოველთვის ლეიბზე გართხმულები აღმოვჩნდით, ეს რას უნდა დავაბრალოთ? ბევრი უცხოელი თუ ადგილობრივი ექსპერტი ამას რუსეთთან ურთიერთობაში ქართველ ხელისუფალთა მკვახე პოლიტიკით ხსნის და არც თუ უსაფუძვლოდ. თუ რა შედეგი გამოიღო ამ პოლიტიკამ, დღეს საიდუმლო აღარავისთვის არის — რუსეთმა ჯერ ეკონომიკური ემბარგოს გამოცხადებით გვაწრუწუნა, ახლა კი აზიური ტვირთების დაკარგვით გვემუქრება. ამ მხრივ მას მოღალატეობასა და პირგამტეხლობას ვერ დავწამებთ, რადგან გვემუქრება, ეტყობა, შეასრულებს კიდეც!

ეს ყველაზე კარგად თავად ამ მკვახე პოლიტიკის ახალგაზრდა ავტორს მიხეილ სააკაშვილს მოეხსენება, რომელიც სანკ-პეტერბურგში ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას რატომღაც ძველებური რიხით ველარ გამოიყურებოდა (მომეჩვენა, რომ ჩვენი ზორბა პრეზიდენტი სავარძელში როგორღაც მოკუნტული იჯდა!). ახლა რაღა დროს, ზომიერ, პრაგმატულ პოლიტიკაზე, ეტყობა, მანამდე უნდა გვეზრუნა, ვიდრე კარზე ემბარგო მოგვიკაკუნებდა, ევრაზიულ დერეფანში კი შავი კატა გადაგვირბენდა.

**ოთარ ხუციშვილი**

მეწარმეობა

## თუშური მატყლის ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი



***კახეთში, სოფელ ქვემო ალვანში, ერთი პატარა, კოპწია ძველი სახლი დგას, აგურით ნაგები, ლამაზი ჩუქურთმებით, უნიკალური ქართული ღვინის მარნით. სახლში საერთო ინტერესებით გაერთიანებული ჯგუფი „ფარდაგი" საქმიანობს, რომელიც ტრადიციული თუშური ხელსაქმის აღორძინებას ისახავს მიზნად. ყველაფრის სული და გული კი დიდი სახლის სათნო დიასახლისი, ქვემო ალვანის საჯარო სკოლის პედაგოგი ლილი მურთაზაშვილია:***

— ორიოდე წლის წინათ „დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში პროექტი შევიტანე „მეძოვა მზითვის ჯეჯიბ-ფარდაგი, რაც ტრადიციული თუშური ხელსაქმის აღდგენა-აღორძინებას და მომავალი თაობებისთვის შენახვა-გადაცემას ისახავდა მიზნად. პროექტმა გაიმარჯვა და გრანტი მოვიპოვე, რამაც საშუალება მომცა, „ოფიციალურად" ამეხდინა ჩემი ბავშვობის ოცნება.

**— ქალბატონო ლილი, როგორ მიხვედით ამ იდეამდე?**

— მოგეხსენებათ, თუშეთი საქართველოში ყოველთვის მეცხვარეობის კერა იყო, შესაბამისად, ეს დარგი გახლდათ თუშების ცხოვრების წესი და საარსებო წყარო. უკანასკნელ წლებში კი გასაღების ბაზრის არქონის გამო იგი საკმაოდ დაკნინდა. ბევრი მეცხვარე იძულებული გახდა, არა თუ ცხვარი მიეტოვებინა, ოჯახის სარჩენად საზღვარგარეთ შავ მუშადაც წასულიყო. თუშებს კარგად ახსოვთ შემთხვევები, როდესაც ტრანსპორტირების სიძვირის გამო გაუსაღებელი მატყლი ისევ მთაში უპატრონოდ მიუტოვებიათ. დღეს კი, თუშეთის ეროვნულ პარკად განვითარებითა და ტურისტების მოზღვავებით, სხვასთან ერთად, მატყლსაც გასაღების ბაზა გაუჩნდა.

**— ვინ არის ჩართული თქვენს პროექტში და ძირითადად რას აწარმოებთ?**

— დღესდღეობით ჩართულია ორმოცამდე ადგილობრივი ქალბატონი, რომელთაც, როგორც თუშები იტყვიან, ძალიან კარგი ხელი აქვთ. ეს ძირითადად უფროსი თაობის დიასახლისები არიან, რომელნიც ყოველთვის იყვნენ დაკავებული ხელსაქმით, მაგრამ თუ ადრე ეს პროდუქცია მხოლოდ მათი ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და შესამოსად იყო განკუთვნილი და შესაბამისად, ძალიან მცირე რაოდენობით ქსოვდნენ, ახლა იგი უკვე შემოსავლის და ოჯახის რჩენის საშუალებად იქცა, გაიზარდა როგორც მოტივაცია, ასევე პროდუქცია.

პროექტში ჩართული არიან ასევე ახალგაზრდებიც, ბავშვები, რომელთაც თუშურ ხელსაქმეს ვასწავლით, რათა არ დაიკარგოს ეს მდიდარი ტრადიცია.

ვაწარმოებთ ფაქტობრივად ყველაფერს, რაც ამ კუთხისთვის იყო დამახასიათებელი: ხალიჩებს, ხურჯინებს, წინდებს, ჩითებს, ჩულებს, ვთელავთ ნაბდებს, თექას, ქუდებს.

**— ქალბატონო ლილი, ხელსაქმე რეგიონებში მეტ-ნაკლებად გავრცელებული საქმიანობაა, მაგრამ თქვენს მიერ წარმოებულ პროდუქციაზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა. ცოტა ხნის წინათ სატელევიზიო კონკურსში „იდეა, ფული და ერთი შანსი" დაფინანსებაც მიიღეთ. რა არის თქვენს წარმოებაში ის განმასხვავებელი ნიშანი თუ მეთოდოლოგია, რაც ამ ყურადღებას იპყრობს?**

— ჩვენთან წარმოება ტრადიციული წესის მიხედვით, ანუ ყველაფერი ხელით ხდება. გამორიცხულია თანამედროვე ტექნიკის, ჩარევა, განსაკუთრებით კი ქიმიური და სხვა თანამედროვე საშუალებების გამოყენება. ეს უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას და იმ უნიკალური თვისებების შენარჩუნებას, რაც თუშურ მატყლს გააჩნია. თუშური მატყლის ბოჭკოვანი სტრუქტურა მის ბევრ სამკურნალო თვისებას განსაზღვრავს და 29 დაავადებას კურნავს, რაზეც გერმანელი პროფესორი ეგერიც წერდა.

**— თქვენმა საქმიანობამ, განსაკუთრებით კი ბუნებრივი საღებავების გამოყენების ტექნოლოგიამ, შარშან „ექსპო-ჯორჯიას" გამოფენაზეც დიდი ყურადღება მიიპყრო.**

— დიახ, ჩვენ შევინარჩუნეთ ეს მდიდარი ტრადიცია და ვღებულობთ 49 ფერს. ვიყენებ მხოლოდ ბუნებრივ საშუალებებს, როგორიცაა ჯანგარი (კლდის ხავსიძ, თავშავა, კაკლის წენგო, თრიმლი, ლაფანი, დეკა, ვაშლის ხის ქერქი, ჟოლოს, ენდროს, კოწახურის ძირები, მყრალა, წართხალი და სხვა. ამ ნედლეულის უმეტესობას თუშეთში ვაგროვებ.

**— ქალბატონო ლილი, თქვენ უკვე 43 წელია პედაგოგად მუშაობთ, მაგრამ როგორც აღნიშნეთ, ბავშვობის ოცნება ტრადიციული ხელსაქმის სამსახური იყო. როდის და რატომ გაემიჯნა ოცნება რეალობას?**

— ხელსაქმის ლამაზ და ფერად სამყაროში ბებიამ შემიყვანა. ჩემი ბავშვობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს დაემთხვა. ძალიან მიყვარდა ხატვა, ფერადი ფანქრები კი არ მქონდა. მაშინ მასწავლა ბებიამ მცენარეთა საიდუმლოება და სხვადასხვა ფერის მიღება. მაგრამ ხელსაქმით სერიოზულ დაკავებას ბავშვობასა და ახალგაზრდობაში დიდედები მიშლიდნენ. მირჩევდნენ, სხვა რომელიმე თანამედროვე პროფესია შემეძინა, რადგან ტრადიციული ხელსაქმე საკმაოდ მძიმე სამუშაოა. თითქმის ყველა მოხუცი მაშინ ნატრობდა, ნეტავ ჩვენც შეგვეძლოს სხვა საქმეს მივდიოთ და ეს ხელსაქმე საერთოდ არ გვცოდნოდაო. რჩევა მივიღე, პედაგოგი გავხდი, მაგრამ ხელსაქმის სიყვარული მთელი ცხოვრება გამყვა. ახლა კი მთელი ჩემი ძალისხმევა ამ საქმესა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის კვლავ აღორძინებისკენ არის მიმართული.





**ანა ვეშაგურიძე**

# პრობლემა

**თანამშრომლებმა, რომლებმაც ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავეს, ჩემთან საუბარში არ დამალეს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში 200 ათასამდე ლარი მარტო მიმდინარე რემონტში გახარჯეს, თუმცა — ამაოდ**



**რა ხდება?**

## „დეზერტირების" ბაზარი: ინგრევა თუ იყიდება?!

***ცენტრალურ სუპერმარკეტში, ძველებურად ყველანი მაინც „დეზერტირების" ბაზარს რომ ვეძახით, ყოველდღიურად ათასზე მეტი კაცი ვაჭრობს.***

***საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველსავე დღეებში ბაზრის ადმინისტრაციამ სამართლებრივი ფუნქცია შეიცვალა, სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა — ზოგმა მანქანა გაყიდა, ზოგიერთმა კი სახლიც და საჭირო თანხაც შეიტანეს. ამჟამად საზოგადოებაში 245 აქციონერია, ბიუჯეტში ყოველწლიურად 500 ათასამდე ლარი შეაქვთ.***

ვერ იტყვი, რომ აქ დღეისთვის ყველაფერი წესრიგშია და გასაკეთებელი და საზრუნავი არაფერი აქვთ. თანამშრომლებმა, რომლებმაც ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავეს, ჩემთან საუბარში არ დამალეს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში 200 ათასამდე ლარი მარტო მიმდინარე რემონტში გახარჯეს, თუმცა — ამაოდ.

**— რატომ ამაოდ?** — დავინტერესდი.

— ყიდიან ფართს და აქციონერებს არაფერს ეკითხებიან, თუ გაყიდეს, კიდევ არა უშავს, შეიძლება თანხები მაინც დაგვიბრუნონ, მაგრამ თუ დაანგრიეს, მაშინ რა გვეშველება, არ ვიცით.

**— კი მაგრამ, არ იცით, ინგრევა თუ იყიდება?**

— საქმეც ეგ არის, არ გვეუბნებიან, ვიცით, რომ წარმოებს მოლაპარაკებები, მაგრამ რაზე შეთანხმდებიან, ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ?

**— იქნებ ის მაინც მითხრათ, მოლაპარაკებას ვინ ხელმძღვანელობს?**

— თქვენ რა პარიზიდან ჩამოსულივით მეკითხებით? ვინ აწარმოებს მოლაპარაკებებს ასეთ საკითხებზე, არ იცით? ვინ დაანგრია ქალაქში არსებული კანონიერი რესტორნები, მაღაზიები, რა, არ იცით?

**— იქნებ ის მაინც დამიზუსტოთ, ერთ-ერთ გაზეთში იყო ინფორმაცია, დირექტორი დააკავეს და ბორკილებდადებული გაიყვანეს ბაზრიდანო, მართალია? ფინანსური პოლიცია მართლა გამოწმებთ?**

— შემოწმებით, კი, გვამოწმებენ. მაგრამ, ეს ჩვეულებრივი, რიგითი შემოწმებაა, ახლაც აქ არიან. დირექტორი კი სულ ახლახან გავიდა, არც დაუჭერიათ და არც დაუკითხავთ, ასეთი ტყუილები იწერება, ბატონო, პრესაში...

**— კორესპონდენტმა ბოდიში მაინც არ მოიხადა?**

— ვის უნდა ბოდიში, მაგრამ ალბათ ასეთი რამ გუნებაშიც არ გაუვლია.

**— მაინც ვერ გავიგე, საბოლოოდ იყიდება თუ ინგრევა. თქვენ კი იცით, ალბათ, მაგრამ არ მეუბნებით.**

— ბაზრის გულისთვის, ტყუილზე ცოლ-შვილს მაინც არ დავიფიცავ, ბიჭი სულ ახლახან შემეძინა. სიმართლეს, აბა, მე ვინ მეტყვის? მთავარია, რომ ამდენ აქციონერს აბუჩად იგდებენ. ხომ მეთანხმებით?

**რა უნდა მეთქვა, ავდექი და წამოვედი.**

**ნაზი იმნაიშვილი**

**ინფორმაცია**

## შვიდი წლის წინათ მომხდარი ყაჩაღობა გაიხსნა

**სამართალდამცავებმა 2000 წელს მომხდარი შეიარაღებული ყაჩაღობის ფაქტი გახსნეს, რომელმაც ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. 2000 წლის 25 ივლისს დედაქალაქის სატრანსპორტო პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თბილისში, ბორჯომის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის დაყაჩაღებისა და მოქალაქე ანიკო ნინიკაშვილის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, რაც 2007 წლის 20 ივნისს შემდგომი გამოძიების მიზნით, შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს გადაეგზავნა.**

**წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ 2000 წლის 25 ივლისს, დაახლოებით 16 საათზე, უკანონოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული პირები — სერგო ქურცაძე და რამაზ ზარნაძე, ძებნაში მყოფ ოთხ პირთან ერთად, თავს დაესხნენ თბილისში „ბორჯომის ვაგზლის" მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ინდმეწარმე ანიკო ნინიკაშვილის ვალუტის გადამცვლელ ჯიხურს, საიდანაც 4 ათას 850 ლარის გატაცების შემდეგ განზრახ მკვლელობის მიზნით ცეცხლი გაუხსნეს ჯიხურში მყოფებს, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა ანიკო ნინიკაშვილი, ხოლო სასიკვდილოდ დაიჭრა გიორგი ხეცაძე, ასევე მძიმედ დაჭრეს ცისანა მაღრაძე და მანანა მურადოვა. შემდგომში სერგო ქურცაძე რეზო ზარნაძესთან ერთად „ბორჯომის ვაგზლის" ცენტრალური ამოსასვლელის ნაწილის გავლით ამოვიდნენ ბაქანზე, სადაც მოახდინეს პისტოლეტიდან გასროლა ბაქანზე მყოფი პოლიციელებისა და მგზავრების მიმართულებით, რა დროსაც შესაბამისად სხეულის მძიმე და მსუბუქი დაზიანებები მიიღეს ბაქანზე მყოფმა მადონა სტეფნაძემ და თინა იორამაშვილმა. ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის სერგო ქურცაძე 2007 წლის 20 ივნისს, საკუთარ ბინაში დააკავეს, იმავე დღეს დააპატიმრეს რამაზ ზარნაძეც. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულებს სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

**კონსულტაცია**

## თუ ზედმეტი საფასური გადაიხადეთ...

**„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, დეტალურად განისაზღვრა ის პირობები, რომლებიც მოქალაქეს უფლებას აძლევს, მოითხოვოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებისთვის გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად უკან დაბრუნება.**



კანონის თანახმად, დაინტერესებულ პირს გადახდილი საფასური სრულად დაუბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ მას არ უსარგებლია გადახდილი თანხის შესაბამისი მომსახურებით.

მომსახურებისთვის გადახდილი საფასური სრულად დაუბრუნდებათ იმ პირებსაც, რომლებიც გადასახადის გადახდისგან კანონით არიან გათავისუფლებულნი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის, ანდა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, გადახდილი საფასური მოქალაქეს უკან არ დაუბრუნდებათ.

ხოლო თუ მოქალაქეს კონკრეტულ მომსახურებაზე კანონით განსაზღვრულ მონაკვეთზე მეტი ოდენობით საფასური აქვს გადახდილი, მას უკან დაუბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და აღნიშნული კანონით განსაზღვრულ მონაკვეთს შორის.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ზედმეტად ან არასწორად გადახდილი საფასურის დასაბრუნებლად, მოქალაქემ გადახდის თარიღიდან ერთი თვის ვადაში უნდა მიმართოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს და, წერილობით დასაბუთებულ მოთხოვნასთან ერთად, წარმოადგინოს მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე სარეგისტრაციო სამსახური გამოწერს ფულის ქვითარს, რომლითაც მოქალაქე არასწორად ან ზედმეტად გადახდილი საფასურის მოთხოვნის რეგისტრაციის დღიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უკან დაბრუნებას შეძლებს.

და კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, საგულისხმო გარემოება — აღსანიშნავია ისიც, რომ ფულის ქვითარი გამოიწერება მხოლოდ იმ პირზე, ვინც მომსახურების თანხა გადაიხადა.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია**

## ერთობლივად წამების წინააღმდეგ

**წამების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" საქართველოში რიგით მეოთხე კონფერენცია „ერთობლივად წამების წინააღმდეგ" გაიხსნა.**

კონფერენციის ორგანიზატორები არიან — წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია"; „საქართველოს ექიმთა ასოციაცია"; „ციხის საერთაშორისო რეფორმა" და „ქალთა ასოციაციის კრიზისული ინტერვენციის ცენტრი" გალის რაიონში.

კონფერენციის მონაწილეებს „ემპათიის" ხელმძღვანელმა მარიამ ჯიშკარიანმა „ერთობლივად წამების წინააღმდეგ" IV დეკლარაცია წარუდგინა და სურვილის შემთხვევაში მათ ხელის მოწერა სთხოვა.

როგორც ჯიშკარიანმა განაცხადა, დეკლარაცია კონფერენციის ორგანიზატორების მიერაა შემუშავებული და წამების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტებთანაა მისადაგებული.

„დეკლარაციაზე ხელის მოწერა ნებაყოფლობით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეუძლიათ. ჩვენი პრიორიტეტი წამების წინააღმდეგ ბრძოლაა",—აღნიშნა ჯიშკარიანმა.

მანვე დეკლარაცია კონფერენციის მონაწილეებს დეტალურად გააცნო.

კონფერენციას საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოში წინა წლებთან შედარებით წამების ფაქტებმა შს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მნიშვნელოვნად იკლო.

„ამის მიუხედავად, წამების ფაქტები მაინც არის. 2007 წელს ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა წინა წლებში იყო. წამების არც ერთი ფაქტი გამოძიებული არ არის, რაც სამწუხარო ტენდენციაა, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ჩვენ

● ამ მეტად რთული და ძნელად გასაყვანი გზის გაჭრა დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ იგი 1845 წლის დასაწყისში დამთავრდა. იმავე წლის ივნისში ფარსადან ციციშვილი გარდაიცვალა და ქალაქის მმართველობამ მის მიერ გაკვალულ და გაყვანილ გზას „ციციანოვის აღმართი“ უწოდა


გადაღებულია 1910 წელს.

## ◎ არ დავიწყება მოყვრისა...

*ძირძველ თბილისელებს კარგად უნდა ახსოვდეთ, ახლანდელ ბარათაშვილის აღმართს ციციანოვის სახელს რომ უწოდებდნენ. ადრე ბევრისგან გამიგონია და ბევრს, ალბათ, დღესაც ჰგონია, რომ ეს სახელი ამ აღმართს კავკასიის მთავარმართებლის ინფანტერიის გენერალ პავლე დიმიტრის ძე ციციანოვის საპატივცემულოდ შეერქვა. ბარემ აქვე ვიტყვი: პავლე ციციანოვი 1806 წლის იანვარში ქალაქ ბაქოს აღებისას მოკლეს და მისი გვამი (მოჭრილი თავისა და მარჯვენა ხელის გარეშე) — შაჰს გაუგზავნეს თეირანში. მერე იქვე სომხურ ეკლესიაში დაკრძალეს (ესეც ბედის ირონიაა). 1812 წელს მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩიმ, პავლე ციციანოვის დარჩენილი ნეშტის ნაწილები ბაქოდან ჩამოასვენა და თბილისის სიონის ტაძარში დამარხა. პავლე ციციანოვის სახელს არავითარი საერთო არა აქვს ხსენებულ აღმართთან.*

# დავუბრუნოთ აღმართს ფარსადან ციციშვილის სახელი

სინამდვილეში იგი ამ გზის გამჭრელის, ფარსადან თეიმურაზის-ძე ციციშვილის სახელთან არის უშუალოდ დაკავშირებული და ამ პიროვნების ღვაწლი არ უნდა დაიკარგოს. აუცილებელია იქ შესაბამისი მემორიალური დაფაც გაკეთდეს, რათა მომავალმა თაობებმა კარგად იცოდეს წინაპართა ღვაწლი და ამაგი. ახლა გავარკვიოთ ვინ იყო ფარსადან თეიმურაზისძე ციციშვილი და რა დამსახურება აქვს მას. ფარსადანი პავლე ციციანოვის ბიძაშვილისშვილი იყო. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S-1446 ფონდში დაცულია ციციშვილების გვარის გენეალოგიური სქემა, საიდანაც ვიგებთ, რომ პავლე ციციანოვის პაპა პაპუნა და ფარსადანის პაპა ქაიხოსრო ძმები ყოფილან. 1808 წელს ფარსადან ციციშვილმა ეგზარქოს თეოფილაქტეს დავალებით დაიწყო სამსახური ქართულ ეკლესიაში. მე-19-საუკუნის 20-იან წლებში ფარსადანი პეტერბურგშია და ახლო ურთიერთობას ამყარებს იონა ხელაშვილსა და სოლომონ დოდაშვილთან. შემდგომ იგი ერთხანს კათალიკოს ანტონ მეორესთანაც მსახურობს, რის გამოც მას მუდმივი პენსია დაენიშნა წელიწადში 500 მანეთის ოდენობით.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ის აქტიურად ჩაება საქართველოს ეკლესიის სამსახურში და ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი ინიციატივით თბილისში, რიყეზე აშენდა საცხოვრებელი სახლი. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, მისი ინიციატივითა და სახსრებით შეკეთდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია — ვახტანგ V-ის ასულის ელენეს მიერ აშენებული და 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგად დანგრეული და დიდხანს გაუქმებული. „1835 წელს ფარსადან ციციანოვმა დააკერა კედლები: საყდარი ესე დაჰყვა სახლსა შინა მისსა“ — (S-3034).

გასაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ რიყიდან ავლაბრისაკენ, კლდიან ფერდობზე გზის გაჭრა. ამ მეტად რთული და ძნელად გასაყვანი გზის გაჭრა დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ იგი 1845 წლის დასაწყისში დამთავრდა. იმავე წლის ივნისში ფარსადან ციციშვილი გარდაიცვალა და ქალაქის მმართველობამ მის მიერ გაკვალულ და გაყვანილ გზას „ციციანოვის აღმართი“ უწოდა.

ფარსადან ციციშვილს ეკუთვნის ერთი მოსწრებული გამოთქმა, რომელიც დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას კარგად ესადაგება და რომელმაც ჩვენამდე იონა მეუნარგიას წყალობით მოაღწია. მაშინ, როდესაც საქართველო მაზრებად დაჰყვეს, პეტერბურგელ რევიზორს უკითხავს ფარსადან ციციშვილისათვის, როგორ მოგწონთ ეს „преобразование“-ო, ფარსადანს უპასუხნია: „сначала нужно образование, а потом преобразование“. ასეთი პიროვნება გახლდათ ფარსადან ციციშვილი, რომლის სახელიც თბილისს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს.

**დურმიშხან ცინცაძე**

## ◎ არეულ ტალღაზე

# დიდი თემის ნამსხვრევში საგულდაგულო განწყობისთვის

### 1. საიდან იწყება?

მოსწავლემ თანატოლი დაჭრაო.

მოკლაო მეორემ.

მეშვიდე კლასელმა.

სულაც ცამეტი წლისამ.

დანით მოულოდ ბოლო.

ყველა აღშფოთებულია.

დიდი.

პატარა.

სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობის, ასაკის განურჩევლად.

დისპუტები იმართება ტელეეკრანებზე. ათასი მიზეზი სახელდება მოზარდი თაობის ცხოვრებაში მიმდინარე ტრაგიკული გარდაქმნების მიზეზად. შეიძლება ბევრი მათგანი სწორიც იყოს და, ალბათ, ისინი უნდა აილონ ძალოვანმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა თავიანთ სახელდახელოდ მომზადებულ სამოქმედო პროგრამების საფუძვლად.

დიდად სახარბიელო ვერ იქნება სკოლებში დეტექტორების დადგმა, რათა მოსწავლემ იქ იარაღი ვეღარ შეიტანოს.

სულაც სადმე გარეთ შეინახავს და მორჩა.

გაკვეთილებს შორის შესვენებისას ვერც ტელეთვალი შეძლებს გოგო-ბიჭებისთვის სათანადოდ თვალთვალს და საჭიროების შემთხვევაში ზარებსაც ვერ დაარისხებს დროზე.

ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ მთავარი მოქმედი პირი-საზოგადოება მთავრობისკენ იშვერს თითს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: ბუ შენ დიდი თავი გაქვს და ჩემი შვილიც იტირეო.

ხშირად ჯანსაღი აზრიც გაკრთება, მაგრამ საერთო ხმაურში იკარგება. არც ძველი ახსოვს ვინმეს. ზოგს მართლა ჰგონია, რომ საქართველოს ისტორია დასტურ ოთხი წლის წინათ დაიწყო.

ჩვენი ძველები ამბობდნენ, თევზი თავიდან ყარსო.

ხელისუფლება არ ყავდათ მხედველობაში. ნამდვილ სათავეს გულისხმობდნენ.

ადამიანის გასაცნობად, გნებავთ შესაცნობად დედ-მამის ნახვასაც აუცილებლად თვლიდნენ.

უფრო შორს არ წავალ.

ახლახანს პატარები ზოოპარკში წაიყვანეს ახლობლებმა. შემთხვევით იქვე ახლოს აღმოჩნდი და მეც შევიარე, იქნებ სადმე ჩემებს წავაწყდომოდი იმ მილეთ ხალხში.

ერთ ვოლიერთან შევყოვნდი. მავთულბადეს შვლის ნუკრი მოსდგომოდა. დანდობილად მიირთმევდა პატარების დაკრეფილ ბალახს.

მშვენიერი იყო.

თვალხატულა.

შეკრებილებს ორნი შემოგვიერთდნენ. ათიოდე წლის ბიჭი ახლდათ. შვლის დანახვაზე ბიჭს თვალები გაუფართოვდა. სუნთქვა გაუხშირდა აშკარად.

გარშემომყოფთა ჟრიამული დაფარა მისმა უჩვეულოდ გამყივანმა ხმამ.

რა საჭმელია, მამ-ი-ი-ი!

უცებ დაცარიელდა ირგვლივეთი. გაგვეცალა ყველა, როგორც კეთროვანებს.

რაღაცის თქმა მომინდა.

უნდა ამომსკდარიყო ერთიანად.

საშინელი სიბრაზე.

საზარელი ბოღმა.

მწარე ძალიან.

არ დამცალდა. ხარხარით გაეცალნენ ყველასგან მიტოვებულ შვლის ნუკრს ჯეელები. ცხადია, თავიანთი ნაშიერიც გაიყოლეს თან.

გაოგნებული დავრჩი.

დამფრთხალი.

ძალიან შეშინებული.

ვფიქრობ, მკვლელის ხმა გავიგონე რამდენიმე წამის წინათ.

ვგონებ, ვნახე კიდეც...

მაშინ რა ეშმაკი დამაფიქრებდა. ახლა მეწურება გული.

საიდან იწყება ადამიანი?

შვილი?

თავი სად არის?

ბოლო?

ღირს ამაზე საერთო ფიქრი და ერთიანი პასუხის გაცემა ისე, რომ ერთი ალთას არ იყოს და მეორე-ბალთას, როგორც ხშირად გვესმის და ვკითხულობთ ხოლმე დღეს.

### 2. მომენატრნენ ჩემი კლასის დამრიგებლები

ყველაფერი კარგად იყო.

საქმე-მოწესრიგებული.

საათივით აწყობილი.

ყოველმხრივ.

ფორმით.

შინაარსით..

კლასში სულ ოცდაათნი ვიყავით.

ერთი დამრიგებელი გვყავდა.

ასე გვეგონა სიარულის მეტს არაფერს აკეთებდა.

თვეში ერთხელ მაინც შემოივლიდა სამწყსოს.

ძნელი იყო.

უჭირდა, მაგრამ მაინც.

მოინახულებდა ოჯახს. ყურადღებით დაათვალიერებდა მოსწავლის სამუშაო კუთხეს, ოთახს, სადაც და ვისაც იმ დროისთვის ამდაგვარი

ფუფუნების საშუალება ჰქონდა არც ისე მდიდარ სოფელში.

მასპინძელს შეიძლება არ ულხინდა, მაგრამ თავს გამოიდებდა, ჰაი-ჰარად მაინც მოახლაფორთებდა რაღაცას.

სტუმარსაც ეს უნდოდა.

დასხდებოდნენ. მასლაათებდნენ.

იტყოდნენ.

ამ მთისას.

იმ ბარისას.

საუბარში მასპინძელს აუცილებლად წამოსცდებოდა, თუ რამ უჭირდა. შვილი მეურჩება, გაკვეთილებს არ ამზადებს. შეყვარებული უნდა იყოს ისე გაირინდება ხოლმე, თქვენც ატყობთო, ალბათ.

პასუხს არ დაელოდებოდა საუბრის სადერღელაშლილი, უცხოსთან ლაპარაკს დახარბებული დიასახლისი.

შემოელეოდა თავისი? მეზობლისას გადასწვდებოდა უთუოდ. წვრილად ჩაუკაკლავდა დამრიგებელს მეზობლის ბიჭის ნაეშმაკარებს. არც იმას დაუმალავდა, თუ რატომ და რისთვის დააწიწკნა დედამ თმები მეექვსეკლასელ გოგოს.

ისიც საჯაროდ.

მეზობლებისგან დაუფარავად.

იყო ასეთი კარგი დრო, როცა მეცეცხლურებს ერთმანეთისგან დაფარული არაფერი ჰქონდათ.

ნახევარ საათში საუბარს მორჩებოდნენ.

სუფრა ხელუხლებელი რჩებოდა.

სამაგიეროდ დამრიგებელს მიჰქონდა უხვი ინფორმაცია, რომელსაც ბავშვთა საქმეებში მაშინდელი უბნის ინსპექტორიც ვერ მოაგროვებდა, რადგან მას გარკვეული მიზეზების გამო გაცილებით ნაკლებს ანდობდნენ, ვიდრე თავისი ქცევით მეტად სიმპათიურ კლასის დამრიგებელს. ის კიდევ რამდენიმე ოჯახს მოინახულებდა, ოცდაათი წუთით შეყოვნდებოდა და ოცდაათი დღის სამუშაოთი დატვირთული ბრუნდებოდა შინ.

გვიან.

კარგად შეღამებულზე.

მეორე დღეს სრულიად სერიოზული საუბარი იმართებოდა სკოლის დირექტორთან, რომელიც იმ დროს ყველაფერი იყო.

საგნის სანიმუშო მასწავლებელი;

ჩინებული აღმზრდელი;

კარგი ორგანიზატორი;

თითით საჩვენებელი ინტელიგენტი.

იქვე ისახებოდა სამუშაო გეგმა ყოველგვარი საოქმო ჩანაწერების გარეშე.

ამიტომაც მაშინ სულ ზედმეტი იყო დღეისთვის ყბადაღებული „ჩაშვების“ ინსტიტუტი, როცა მშობელმა პოლიციას უნდა შეატყობინოს ადრევე გაცელქებული შვილის ყოველი ნაბიჯი, რასაც, ალბათ, უთუოდ მოყვება შვილსა და მშობლებს შორის ურთიერთობის გართულება.

თავს ვიმტრევ, გონებას ვძაბავ და მაინც ვერ ვიხსენებ ჩემი მოწაფეობის ათი წლის მანძილზე სკოლაში საქმეზე მოსულ მილიციელს.

ერთი დადიოდა მხოლოდ.

ისიც ჩვენი კლასელის მამა.

იშვიათად.

თანაც უფორმოდ.

როგორც წესი, უიარაღოდ.

რაში სჭირდებოდა.

ჩვენ არ ვხოცავდით ერთმანეთს.

ჯიბეში არ გვედო დანები.

რევოლვერი ქუჩაში თავისთვის მიმავალი მილიციელის ქამარზე თუ გვენახა მხოლოდ.

არც ვეშურებოდით.

დედის ხათრით;

მამის შიშით.

ყოვლისმცოდნე კლასის დამრიგებლის რიდით..

ჩემი კლასების დამრიგებლები ახლაც მენატრებიან.

ორმოცდაშვიდი წლის შემდეგ.

რაღაცნაირად დედასავით იყვნენ ყველანი.

კიდევ კარგი, დღეს არცერთი მათგანი ცოცხალი არ არის.

სისხლი ჩაექცეოდათ.

გული გაუსკდებოდათ უსაქმოდ დარჩენილებს.

უზოდიშოდ ქუჩაში გაყრილებს..

**რობერტ ძერია.**

SOS!

• ეკა ხოფერია დამარცხდა იმიტომ, რომ ჩვიდმეტი წელიწადია საქართველოში ტარდება მისთვის გარედან თავსმოხვეული პოლიტიკა, რის შედეგადაც ჩვენ დავკარგეთ ავტონომიური რესპუბლიკები და დღესაც ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს ტერიტორიები სამუდამოდ დაიკარგოს




◎ ყველას თავისი აზრი აქვს

# უსამართლო ბრალდება

***21 ივნისს „ღია ეთერში“ (ტელეკომპანია „იმედი“) ვნახეთ და მოვისმინეთ ჟურნალისტ ეკა ხოფერიას ინტერვიუ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითთან, ტელეკომპანია „იმედმა“ და ჟურნალისტმა ეკა ხოფერიამ ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმე გააკეთეს, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ცხინვალის სეპარატისტული წარმონაქმნის შესახებ სერიოზულ მსჯელობას, მაგრამ გაოგნებული დავრჩი, როდესაც ორი დღის შემდეგ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 117-ე ნომერში ბატონ გულბათ ტორაძის წერილი — „ძალები არათანაბარი იყო, შედეგი შესაბამისი“ — წავიკითხე. „პაექრობა ქართული მხარის სრული მარცხით დასრულდა“, — კატეგორიულად ასკვნის ბატონი გულბათი, მაგრამ რას ნიშნავს, ინტერვიუში დამარცხებული ჟურნალისტი? ჟურნალისტიკის ეს პოპულარული ჟანრი განა შეჯიბრი და ასპარეზობაა?***

ტელეჟურნალისტიკაში ცოტა მეც დამეჯერება. რეგულარული ღია საეთერო პრაქტიკა საქართველოში მე დავამკვიდრე, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც აშკარად საწინააღმდეგო პოლიტიკურ პოზიციაზე მდგომ რესპონდენტთან მიწევდა მუშაობა, იმას ვცდილობდი, რომ რესპონდენტს დავხმარებოდი აზრის ბოლომდე და სწორად ჩამოყალიბებაში, რადგან ჟურნალისტი მაყურებლის წარმომადგენელია, რომლის ერთადერთი მიზანი ის უნდა იყოს, რომ რესპონდენტი ბოლომდე გახსნას. ჟურნალისტის მიზანი არ შეიძლება იყოს რესპონდენტის დამარცხება.

იმ საღამოს ეკამ შეცდომა დაუშვა, როცა ინტერვიუს პოლემიკის ხასიათი მისცა, მაგრამ არც ეს არის დიდი უბედურება, თუ იგი რესპონდენტისგან მაქსიმალური ინფორმაციის მისაღებად კეთდება და არა — დასამარცხებლად. ისე, რა თქმა უნდა, უმჯობესია ჟურნალისტი რესპონდენტთან პოლემიკას მხოლოდ კითხვითი წინადადებებით აწარმოებდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკას იმ საღამოს არაფერი გაუფუჭებია. საქმე ქართველმა ვაიპოლიტიკოსებმა და მათ მიერ წლების განმავლობაში გატარებულმა ვაიპოლიტიკამ გააფუჭა და ამის გამო პასუხი ჩვენს საკმაოდ ჭკვიანსა და მშვენიერ ჟურნალისტ ქალბატონს მოვთხოვოთ, უბრალოდ, უსამართლობაა.

ეკა ხოფერია დამარცხდა იმიტომ, რომ ქართული პოლიტიკა დამარცხდა ყოფილ სამხრეთ ოსეთშიც და აფხაზეთშიც.

ეკა ხოფერია დამარცხდა იმიტომ, რომ ჩვიდმეტი წელიწადია საქართველოში ტარდება მისთვის გარედან თავსმოხვეული პოლიტიკა, რის შედეგადაც ჩვენ დავკარგეთ ავტონომიური რესპუბლიკები და დღესაც ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს ტერიტორიები სამუდამოდ დაიკარგოს.

ბატონი გულბათის „შემართება“, რაც დასახელებულ წერილში ასე ჟღერს: „მოკლედ და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთი ქართული ხელისუფლება და, მით უმეტეს, ქართველი ხალხი, არამც და არამც არ შეურიგდება ოდითგანვე ჩვენი მიწა-წყლის ხელყოფას, მისი ტერიტორიების მითვისებას“ — ფუყე და ცარიელი სიტყვებია. ისე შევურიგდებით, მზე მაღლა იქნება, თუ რა თქმა უნდა, პოლიტიკა არ შევცვალეთ.

ფაქტი ჯიუტია: პოლიტიკამ, რომელსაც პროდასავლურს უწოდებენ და, რომელიც ნატოსკენაა ორიენტირებული, ჩვენი ქვეყანა ტერიტორიულად, ეკონომიკურად, მორალურად დაანგრია და დაამახინჯა. აი, ეს პოლიტიკაა შესაცვლელი და სწორედ ეს გამოჩნდა კარგად ეკა ხოფერიას იმ გადაცემაში.

სრული კატეგორიულობით ვაცხადებ: ვიდრე საქართველო არ გააცნობიერებს თუ საიდან მოდის ის, რაც საქართველოს ანგრევს და სად არის სიტუაციის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნების პერსპექტივა, ვიდრე საქართველო კვლავაც აშშ-ის სიყვარულის საყმაწვილო სენით იქნება შეპყრობილი და სხვისი ჭკუით ივლის, მანამდე, ეკა ხოფერია კი არა, ციცერონი რომ დავუსვათ მოპაექრედ კოკოითს, მაინც კოკოითი გამოვა გამარჯვებული...

სამწუხაროდ, პატივცემული გულბათი პრობლემისადმი კვლავ ზერელე მიდგომას გვთავაზობს და პრეზიდენტებისა და პოლიტიკოსების მიერ გაფუჭებულ საქმეს ჟურნალისტს აბრალებს, რაც ელემენტარულად უსამართლობაა!

**ვალერი კვარაცხელია**

◎ ცხელ გულზე

# ჰო, მაგრამ რო გევხარო?!

## ანუ, ბატონო გიგი, კიდევ დიდხანს იფიქრებთ?

**გიგი წერეთელზე მოგახსენებთ, თუმცა მეორე გიგის, უგულავას ხსენებაც მომიწევს ამ წერილში. რომელსაც. ერთი შეხედვით, უცნაური სათაური და აბდა-უბდა დასაწყისი აქვს. ამიტომ, ჩემო მკითხველო, ცოტა შორიდან მომიწევს დაწყება, რათა ადვილად მიმიხვდეთ გულისნადებს.**

ჩვენ გვიცავს ჩვენი პატრული?

ვინც ჩემს „შემოქმედებას“ მეტ-ნაკლებად ადევნებს თვალს, ემახსოვრება გასული წლის ნოემბრის ბოლოს ამავე სათაურით გამოქვეყნებული წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“, რომელიც დეკემბრის დასაწყისში უცვლელად გადმობეჭდა გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“. წერილში მოთხრობილი იყო პატრულთან დაკავშირებული ჩემი თავგადასავალი.

საქმე ასე იყო: გასული წლის 27 ნოემბერს, რომ იტყვიან, შინაურულად, შილიფად ჩაცმული დამაკავეს, როგორც ნარკომანობაში ეჭვმიტანილი და პეკინის გამზირიდან დიდ დიღომში, პატრულის ეზოში მდებარე დაწესებულებაში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გამაქანეს.

მაშინ ჯერ კიდევ მქონდა ჩვენში დემოკრატიის თუნდაც მცირე დოზით არსებობის რაღაც ილუზია. თავი შეურაცყოფილად ვიგრძენი, ჩავთვალე, რომ დაირღვა ჩემი, როგორც ადამიანის უფლებები და იძულებით ანალიზის ჩატარების დამამცირებელ პროცედურაზე კატეგორიული უარი ვთქვი. თანაც მეგონა, რომ ჩემდამი ასეთი დამოკიდებულება პატრულის თვითშემოქმედება უფრო იყო, მაგრამ...

იმ დღეებში სახალხო დამცველის ოფისში გამართულ „მრგვალ მაგიდაში“ მონაწილეობისას გავიგე, რომ პირველი ნოემბრიდან თურმე პატრულისთვის ოფიციალურად მიუციათ უფლება, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წაეყვანათ ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც თვალში არ მოუვიდოდათ.

რა უნდა მექნა? უბრალოდ ვთქვი, რომ, ჩემი აზრით, პატრულისთვის, ასეთი უფლებების მიცემა ეწინააღმდეგება... თუნდაც კონსტიტუციას.

შემდეგ ჩემი ეს მოსაზრება გავუზიარე შეხვედრაზე გვიან მოსულ გიგი წერეთელს. და მას პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმიც შევთავაზე. ვუთხარი, რომ კანონით, მოქალაქის ნარკოლოგიური შემოწმების პირველი შემთხვევა 500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, მეორე — საპროცესო გარიგებას 2000-დან 8000-დე. იმ შეხვედრაზე არასამთავრობოები ბატონ გიგის არაადეკვატურად დიდ ჯარიმებზე ედავებოდნენ, რაზეც მან განაცხადა, შეიძლება საჯარიმო ტარიფების შემცირებაზე ვიფიქროთო.



მე პირიქით ვუთხარი, თუ გინდათ ნუ შეამცირებთ, მაგრამ თუ იძულებით ანალიზზე მიყვანილი მოქალაქე სუფთა აღმოჩნდა, ის თანხა, რაც მას უნდა გადაეხადა, აქეთ გადაუხადეთ-მეთქი.

ვფიქრობ, ჩემი ლოგიკურ-სამართლიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, მავანი პატრულის მუშაკი, როცა ვინმე თვალში არ მოუვა, კარგად დაფიქრდება, სანამ ქუჩაში მიმავალ ახალგაზრდას თუ ჩემსავით ძველგაზრდა მოქალაქეს ხელს სტაცებს და ნარკოლოგიურში მოსაშარდავად წაიყვანს. საინტერესო აზრიაო, მიპასუხა ბატონმა გიგიმ. უფრო მეტიც, ვიფიქრებთ ამაზეო???

### ჯარიმების ქვეყანა, ფეხით შემოვიარე...

**ჯარიმა ნაგავის დაყრაზე, ქუჩის გადაკვეთაზე... უკვე დიდი ხანია, ჩვენმა პატრულებმა თავიანთი წინაპარი „გაიშნიკების“ მეთოდები აითვისეს. უკვე ჩვეულებრივი ამბავია შუქნიშანთან მიმალულ-ჩასაფრებული პატრული.**

ამას წინათ პირადად მე ასეთი რამ შემემთხვა: სასტუმრო „აჭარის“ პირდაპირ, პატრულის მუშაკებთან ერთად (!!!), გადავკვეთე გზა. იმ პატრულმა ერთი ნაბიჯით მიმასწრო ტროტუარამდე და, მოქალაქევ! თქვენი საბუთებიო! მოძრაობის წესები დაარღვიე და 3 ლარი ჯარიმა უნდა გადაიხადოთო. თან თვითონაც, მიხვდა, ბოლომდე მართალი რომ არ იყო და, რა ვქნა, გეგმა მაქვსო, გამიღიმა. ერთი თვის განმავლობაში ნებისმიერ ბანკში გადაიხადეთო, მოზრდილი ქვითარი მომაჩეჩა ხელში. სახლში მისულმა ჩავხედე და ელდა მეცა თუ ამ 3 ლარს ამა თუ იმ მიზეზით, უბრალოდ, გულმავიწყობის გამო ერთ თვეში არ გადავიხდიდი, იგი 180 ლარად იქცეოდა.

### გიგი უგულავას დიეტა

**ისევ მთავარს ვუბრუნდები. რომ იტყვიან, რკინის ქალამნები ჩავიცვი, სად არ ვიყავი, სარჩელიც შევიტანე პატრულის წინააღმდეგ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ „კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრმა“ მომიმზადა. მის მიღებას ათასი თითიდან გამოწოვილი მიზეზებით აჭიანურებს სასამართლო. უფრო მეტიც, ვილაცეები ორჯერ ტელეფონით დამემუქრნენ — სარჩელი არ შეიტანოო.**

ამას წინათ, უფრო ზუსტად 22 ივნისს, ვაგზლის მეტროდან ამოსული, ჩემს საქმეზე მივიჩქაროდი. იქვე, მოედანზე, პატრულის მუშაკი გადამიდგა წინ, რა გვარის კაცი ხარო და ხელი ჩამომართვა: ნარკოლოგიურში ხომ არ...

აღარ ვაცალე სიტყვის დამთავრება და საქაღალდიდან ჩემი სარჩელის და, საერთოდ, იმ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების ქსეროასლები ამოვაფრიალე — ხარჯი ხარჯია, ბარემ შენ გვარსაც მივაწერმეთქი...

აშკარად შეცბა — რა ვქნა, რო გავხარ ნარკომანსო (?!)

50 წლის კაცს ვგევარ-მეთქი? — ვკითხე. არაო! — მიპასუხა.

ჰოდა, ვარ და შენზე უფროსი შვილიც მყავს-მეთქი.

მოკლედ, იმ დღეს გადავრჩი იძულებითი ანალიზის ჩაბარებასაც, თუმცა ვერც ნოემბერში, მომიხერხეს რამე. მართალია, პატრულს 3-4 საათი დაკავებული ვყავდი იმ ცივ ღამეს, ოჯახიც გადამერია ნერვიულობით, მაგრამ როგორც წამიყვანეს, ისევე წამომიყვანეს.

ახლა კი ამბობენ, კიდევ მეტი უფლებები მიუციათ პატრულისთვისო. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ 8 საათით დაკავების უფლება მიიღეს და, თუ მაინც არ მოშარდე, ავტომატურად გაჯარიმებენო.

ახლა მოდაში გიგი უგულავას დიეტაზეა საუბარი, მაგრამ მე რას მარგია. გენეტიკურად ვარ გამხდარი და უფრო ის მინდა, იქნებ კახა ბენდუქიძის მენიუს საიდუმლო შევიტყო. ეგება მასავით დავმრგვალდე და აღარ მითხრან, ვა, ნარკომანს რო გევხარო?! მაგრამ მაგის მენიუს მაგისვე ჯიბე ენდომება და მე ვინ მომაშავებს? იქნება შენ მირჩიო რამე, ჩემო მკითხველო?!

**დავით მხეიძე**

***P. S. ბატონო გიგი! იქნებ ასაკობრივი ცენზი მაინც დააწესოთ; ვთქვათ 50 წლის ზემოთ ასაკის ხალხი მაინც არ წაიყვანონ დამამცირებელი პროცედურების გასავლელად. იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ თუ 50 წლის კაცი ნარკომანია, მას ჯარიმა და ციხე ვერ გამოასწორებს. უფრო მეტიც, ასეთ ხალხს დღეები დათვლილი აქვს და, რომ იტყვიან, აცალეთ სიკვდილი. ნარკორეალიზატორებს რაც შეეხებათ, ეგენი ასაკის მიუხედავად „გაჟუჟეთ“. მათ მიმართ საქართველოში ყოველთვის მკვეთრად სასტიკი დამოკიდებულება იყო. ისე მთავრობაშიც ბევრი გყავთ ნარკომანები და იმათ მიხედეთ. იმ ზომამდე ნუ მიმიყვანთ, მე დაგისახელოთ, მაგრამ ამას არ ვიზამ. ჩამშვები არა ვარ და იმიტომ. თუმცა ეს ინსტიტუტი დააკანონეთ და ამაყობთ ამით.***

***დ. მ.***

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

**მასობრივი ინფორმაციის მთელ რიგ საშუალებებში გამოქვეყნებული ცნობები იმის თაობაზე, რომ საქართველო მზად არის გამოიხმოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე დადებული ვეტო თუ მოსკოვი ხელს აიღებს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების მხარდაჭერაზე, თურმე ბლეფი ყოფილა**



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველო-რუსეთის გარიგება სამხრეთ ოსეთის შესახებ მხოლოდ ფანტაზიაა

**მასობრივი ინფორმაციის მთელ რიგ საშუალებებში გამოქვეყნებული ცნობები იმის თაობაზე, რომ საქართველო მზად არის გამოიხმოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზე დადებული ვეტო თუ მოსკოვი ხელს აიღებს თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპულიკის ხელისუფლების მხარდაჭერაზე, თურმე ბლეფი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურ თბილისს ასეთი ინფორმაცია არ დაუდასტურებია.**

კერძოდ, გაზეთმა „კომერსანტმა" გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთი თუ შეწყვეტდა კონტაქტებს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითისთან და ცნობდა რეგიონის პროქართულ ადმინისტრაციას დიმიტრი სანაკოევის მეთაურობით, საქართველოს ხელისუფლება მოსკოვთან ურთიერთობაში სერიოზულ დათმობებს დათანხმდებოდა. როგორც გამოცემა წერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი სტამბოლში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის ფარგლებში თავის რუს კოლეგასთან სერგეი ლავროვთან მოლაპარაკების დროს გამოთქვამს მთელ რიგ ისეთ წინადადებებს, რომლებზეც უარის თქმა მოსკოვს გაუჭირდება. თუ მოსკოვი დათანხმდება ამ პირობებს, ქართული მხარე მზადაა მიანდოს რუსეთს ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ამ თვითაღიარებული რესპუბლიკისთვის ფართო ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესახებ მომავალ მორიგებათა მიღწევის ოფიციალური გარანტის როლი. უფრო მეტიც, როგორც „კომერსანტი" წერს, თბილისი თითქოს მზადაც კი არის გაურკვეველი ვადით დააკანონოს რუსეთის სამხედროთა ყოფნა თავის ტერიტორიაზე და მოხსნას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლის გზაზე არსებული ყველა დაბრკოლება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 25 ივნისს მხოლოდ ერთი რამ დაადასტურეს: მართლაც დაგეგმილი იყო ბეჟუაშვილისა და ლავროვის შეხვედრა სტამბოლში, და არ გამორიცხეს, რომ მხარეებმა სხვა საკითხთა შორის, ამ შეხვედრის დროს შეიძლება განიხილონ ასევე სამხრეთ ოსეთის პრობლემაც. თუ კონკრეტულად რაზე იმსჯელებენ მინისტრები და რა სახის მორიგებებს მიაღწევენ, ეს მხოლოდ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა ამ თემაზე რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებულ ცნობებს უწოდა „რაღაც ფანტაზიის სფეროდან". „ავიღოთ თუნდაც ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს საქართველო მზად იყოს დააკანონოს რუსეთის სამხედრო ყოფნა თავის ტერიტორიაზე. ამ მიმართულებით თბილისაა და მოსკოვს შორის ყველაფერი გადაწყვეტილია, ყველაფერი გაწერილია ვადების მიხედვით, რუსი სამხედროები იცავენ თბილისთან შეთანხმებულ გრაფიკს და ტოვებენ საქართველოს ტერიტორიას. უკან არავის არ დავაბრუნებთ", – თქვა გაბაშვილმა.

ამავე დროს მას არ გამოურიცხავს, რომ დროთა განმავლობაში თბილისმა და მოსკოვმა შეიძლება მიაღწიონ რაღაც მორიგებას ცხინვალის რეგიონის შესახებ. „მაგალითად, ეს შეიძლება ეხებოდეს უკანონო საბაჟო პუნქტს, რომელიც მდებარეობს საქართველო-რუსეთის საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე. თუ რუსეთი დათანხმდება საქართველოს მოთხოვნას ამ საბაჟოზე ჩვენი წარმომადგენლების მონაწილეობით სათანადო კონტროლის დამყარების შესახებ, ჩვენ შეიძლება უკან წავიღოთ პრეტენზიები, რომლებიც აფერხებენ რუსეთის შესვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რიგებში", – მიაჩნია ქართველ პარლამენტარს.

„როგორც ჩვენი, ისე რუსეთის მხრიდან, პრინციპში გარკვეული დათმობები მოსალოდნელია. მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ბეჟუაშვილისა და ლავროვის სტამბოლის შეხვედრის დროს მიიღებენ რაიმე ძალზე სერიოზულ გადაწყვეტილებებს. მით უმეტეს, რომ ასეთი დაპირება ჩვენს მინისტრს სტამბოლში გამგზავრების წინ არ გამოუთქვამს. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ თბილისა და მოსკოვს აქვთ გარკვეული ინტერესები და სერიოზული წინადადებები. მაგრამ ასეთი წინადადებები ხომ წინათაც იყო და მომავალშიც იქნება – საჭიროა ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა. მაგრამ სამხრეთ ოსეთის შესახებ რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას მინისტრების დონეზე არ უნდა ველოდეთ. ეს სულ სხვა – პრეზიდენტების დონეზე ხდება", – თქვა კოტე გაბაშვილმა.

ამასთან დაკავშირებით ქართველი ანალიტიკოსები ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ სწორედ 25 ივნისს საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ბრიუსელს ეწვია სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაური დიმიტრი სანაკოევი, რომელსაც 26 ივნისს დაუთმეს საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის ტრიბუნა. ცნობილია, რომ სანაკოევის მიწვევა ბრიუსელში საქართველოს ხელმძღვანელობის „დამსახურებაა", რომელიც ცდილობს, დროებითი ადმინისტრაციის მეთაური გაიყვანოს საერთაშორისო დონეზე. ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის რამაზ კლიმიაშვილის აზრით, აქ მთავარია რუსეთმა დაინახოს, რომ სანაკოევი ბრიუსელში კარგად მიიღეს, და მაშინ მოსკოვი შეიძლება დაფიქრდეს და დათანხმდეს თბილისის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა გელა ბეჟუაშვილმა ქართული დელეგაციის თანმხლებ ჟურნალისტებს აცნობა, რომ მას სტამბოლში დაგეგმილი აქვს ორი შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან. „ჩვენ უკვე გავმართეთ ხანმოკლე შეხვედრა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის ფარგლებში. მოსალოდნელია კიდევ ერთი შეხვედრა ჩემს რუს კოლეგასთან", – თქვა ბეჟუაშვილმა. ამავე დროს მან უარყო რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ცნობები იმის თაობაზე, თითქოს სტამბოლში ორშაბათისთვის დაგეგმილ მოლაპარაკებაზე ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები აპირებენ იმ კომპრომისების განხილვას, რომლებიც უკავშირდება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგებას. ეს ვერსია არც სერგეი ლავროვს დაუდასტურებია.

**ბექან თბილელი**

НЕЗАВИСИМАЯ

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

## განხეთქილება „თურქების საკითხის" გამო

**ქართველ პარლამენტარებს სერიოზული უთანხმოება მოუვიდათ, საქმე კინაღამ ხელჩართულ ჩხუბამდეც მივიდა. ყოველივე ამის მიზეზი გახლდნენ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მესხეთელი თურქები. სააკაშვილის საპარლამენტო გუნდი დაჟინებით მოითხოვს მათ დაბრუნებას, ოპოზიცია კი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. საბოლოო ანგარიშით, ცხარე დებატების შემდეგ, პარლამენტმა მაინც მიიღო კანონი „მე-XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოდან იძულებით გასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ". თუმცა, ჯერჯერობით ეს მხოლოდ პირველი წაკითხვით მოხდა.**

საკამათოა ისიც კი, როგორ უწოდონ ამ ადამიანებს – მესხეთელი თურქები, თუ მესხი-მუსლიმანები. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ეს პრობლემა ერთი ხელის დაკვრით ვერ გადაიჭრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს დაემუქრება უმწვავესი ეროვნებათშორისი კონფლიქტის გაღვივების საფრთხე.

მაგრამ მაინც არ უნდა დავადანაშაულოთ სააკაშვილის მომხრეები ზედმეტ დემოკრატიზმში, ხოლო ოპოზიციონერები – ქსენოფობიაში. ერთნიც და მეორენიც, რომლებიც არ თაკილობენ ერთმანეთის მისამართით მკვახე გამონათქვამებს და მუქარას, გარკვეულ მიზნებს ისახავენ. ჩვენს ხელთარსებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, ვიღაცას პრეზიდენტისთვის გადაკვრით უთქვამს, რომ მესხეთელი თურქების პრობლემის გადაჭრის გარეშე ოცნებაც კი ზედმეტი იქნება ნატოსთან დაახლოებაზე. მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ნაჩქარევად მომზადებული კანონი სერიოზულ იურისტებში ღიმილს იწვევს. იგი ძალზე ზედაპირულია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კანონი დილეტანტებმა დაწერეს. თანაც მხოლოდ იმ მიზნით, რომ გარკვეული ანგარიშით წარსდგნენ დასავლეთის წინაშე.

ოპოზიცია აცხადებს, რომ „ხელისუფლებას ადარდებს მხოლოდ ის მილიონები, რომლებიც ევროპის საბჭომ გამოყო ამ პროექტის განსახორციელებლად, და არა ყბადაღებული ისტორიული სამართლიანობის აღდგენა". ოპოზიციონერ კონსერვატორთა ლიდერს ზვიად ძიძიგურს კანონპროექტი მიაჩნია „ღალატად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ გამიზნულად". იგი მოითხოვს ამ საკითხის თაობაზე საყოველთაოსახალხო რეფერენდუმის გამართვას.

– კარგად მახსოვს, როგორ დარბოდა 2002-2003 წლებში სააკაშვილი მთელ ქვეყანაში და არწმუნებდა ხალხს, რომ სანამ პირში სული უდგას, ერთი მესხეთელი თურქიც კი ვერ შემოაბიჯებს ამ მიწაზე. მაშინ იგი მთელ დანაშაულს აკისრებდა „შევარდნაძის მარაზმატიკულ მთავრობას". თუ ეს ასეა, მაშ რატომ უნდა შევასრულოთ ის ვალდებულებები, რომლებიც მარაზმატიკოსებმა იკისრეს. მე მაინტერესებს პროგნოზი ამ ხალხის რეპატრიაციის შედეგების შესახებ, – განაცხადა ძიძიგურმა პარლამენტში გამართულ მოსმენაზე. – ჯერ უნდა გადავჭრათ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილთა პრობლემა და მხოლოდ ამის შემდეგ მოვკიდოთ ხელი მესხეთელი თურქების საკითხს.



საქმე ეხება ასი ათასობით გამუსლიმანებული ქართველის და ეთნიკური თურქის ბედს, რომელიც უკვე 63 წელია ცდილობენ სამშობლოში დაბრუნებას. გარდა ამისა, არიან ადამიანები, რომლებიც ამჟამად სახლობენ იმ მიწებზე, სადაც წინათ ცხოვრობდნენ მესხეთელი თურქები.

საქართველოში ბევრი შიშობს, რომ სააკაშვილის მიერ ჩაფიქრებული „ხალხების გადასახლების" შედეგად ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება მუსლიმანთა რიცხვი. ისინიც კი, ვინც მხარს უჭერს რეპატრიაციას, ეწინააღმდეგება საქართველოს ამა თუ იმ რაიონში თურქების კომპაქტურად დასახლებას. სად არის იმის გარანტია, რომ მომავალში ისინი ავტონომიას არ მოითხოვენ?

მესხეთელი თურქები კი მოითხოვენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაბრუნებას, სადაც ისინი ცხოვრობდნენ 1944 წლამდე. გამოთავისუფლებულ მიწებზე ჯერ კიდევ სტალინის დროს ჩამოასახლეს აჭარლები. ახლა იმ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ქართველები და თითქმის 150 ათასი სომეხი.

– ჩვენ არაფერი გვაქვს საქართველოში ამ ადამიანების დაბრუნების საწინააღმდეგო, – თქვა ახალციხის მცხოვრებმა ვლადიმერ მიქელაძემ. – მაგრამ ისინი რატომ უნდა დააბრუნონ სწორედ აქ? ისედაც უამრავი პრობლემა გვაქვს. თითქმის ასპროცენტიანი უმუშევრობა. ახალქალაქის რაიონის სომხობა უკვე კარგა ხანია მოითხოვს ავტონომიას. და უცებ ჩამოვა ათასობით მუსლიმანი, რომლებიც მოინდომებენ თავიანთი სოფლების, სახლების, მიწების, სასაფლაოების დაბრუნებას. ეკონომიკური მოთხოვნები რელიგიურ, პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზრდება. უთუოდ დაიწყება ხოცვაჟლეტა სულ უბრალო ამბის გამო. განა ვინმეს სჭირდება საქართველოში მეორე ყარაბაღი?

საკითხის პოლიტიზაციის საშიშროება იგრძნო საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ. მან მოითხოვა, რომ კანონპროექტი „ჩაითვალოს საბაზოდ და დეპუტატებს მოუწოდა შეიკავონ თავი ნაჩქარევი შეფასებებისგან.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ

● სოფელი თვითონ გამოისყიდის თავის ნაქნარს! ოღონდ, ყველას ეცოდინება, რომ სოფელი უპატრონო არ არის... უმსგავს საქციელს არავის შევარჩენთ!

◉ სათქმელი უნდა ითქვას!

# დამგზავრებული ქარი



**მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ბოლო, თუ სამოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო. პრესაში საშინელი ინფორმაცია გავრცელდა, საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ორმა ბოროტმოქმედმა ტყეში ფიჩხზე გასული დედა-შვილი გააუპატიურა და მერე სიცოცხლეც მოუსწრაფაო. აფორიაქდა სოფელი, აღშფოთდა და დაიძრა დამნაშავის შესაპყრობად. ამასობაში, სამართალდამცველებმა ივარგეს და დააკავეს სულწაწყმედილები. მაინც არ დაცხრა სოფელი, გავარვარებულ ლავად დაატყდა თავზე მილიციის შენობას და გაიტაცეს დაკავებულები. ეცნობა ეს ამბავი „ზემდგომებს“, მაგრამ... ვერ მოასწრეს! — მოძალადეები სოფლის ცენტრში მდგარ ხეზე ჩამოკიდეს ხალხმა ფეხებით და წამებით დახოცეს...**

ველურ მაგალითად დარჩა ეს ეპიზოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში!!.

..საკუთარი მანქანით მოვდიოდით დასავლეთიდან. სოფელ ალაიანთან გზა გადაეკეტა ხალხს. იქვე, მოშორებით სასტიკი ცეცხლი გიზგიზებდა და იწვოდა ვილაცის სახლ-კარი.

როგორც იქნა, გამოვაღწიეთ პიკეტს. შუა ხნის კაცმა გაგვაჩერა. მცხეთამდე გვთხოვა ჩაყვანა. დაგვემგზავრა. აღშფოთება ეტყობოდა თვალებში და ნისლისფერი დადებოდა სახეზე.

— რა მოხდა? დაიქცა ვილაცა, ეტყობა! — მცირე დუმილის შემდეგ შევხედე მორიდებით.

— მაგისთანეები უნდა დაიქცნენ! მაგათი!..

გავიოცეთ, მაგრამ ხმა არ გავვილია.

— ბოროტება ბოროტებას ბადებს, ჩემო ძმაო, თუმცა, მე რომ მკითხო, ბოროტების ამოშანთვა ბოროტება არ არის...

— რა მოხდა ასეთი?.. — ჰკითხა ჩემმა მეგობარმა.

— რა მოხდა და, არაკაცობა და სულის სიდამპლე... წაიყვანეს გოგო, გააუპატიურეს და მერე, ვითომ თავი ჩამოიხრჩოო და ხეზე დაკიდეს...

— უჰ!... რას მელაპარაკები?.. რა აგიჟებთ ადამიანებს ასე, მაცოდინა ნეტავი!.. — თქვა ჩემმა მეგობარმა და ის ამბავი გაიხსენა, ამ წერილის დასაწყისში რომ მოგიყევით.

— არც მე ვარ, პატარა და მეც მახსოვს ეს ამბავი...

— კი, გეხსომება!

— ისიც მახსოვს, რომ ვერავინ დასაჯეს მაშინ! მთელი სოფელი, როგორც ერთი, მონაწილეობდა იმ ამბავში.

— კი, ასე იყო, მახსოვს!

— ისიც გემახსოვრებათ, იმ სოფელში კაციშვილი არ ლაპარაკობდა ამ ამბავზე, მერე...

— რცხვენოდათ, ალბათ!

— კი არ რცხვენოდათ, სოფელმა თავისი საქნარი და საფიქრალი, თავისი სირცხვილნამუსი თვითონვე შეინახა და ამ სოფელში გამვლელებიც კი, სულგაკმენდილები ჩაივლიდნენ, ხოლმე...

— მას მერე, იმ სოფელში დანაშაული არ მომხდარაო დღემდე! ამასაც ამბობენ!..

— კი ასეა!.. მარა, საშინელი ამბავი რომ მოხდა მაინც?..

— რა ექნათ, აბა?! ხალხმა თვითონ გამოუტანა განაჩენი...

— იქნებ, ჯობდა, კანონიერად მომხდარიყო ყველაფერი... კანონს დაესაჯა დამნაშავეები, რომ ღვთის წინაშე მართალი ყოფილიყო სოფელიც...

— კანონი!.. სადაა კანონი? მიუსჯიან წლებს, ამ წლების შემდეგ კი გამოვლენ მაინც და იცხოვრებენ... როგორი ნაგავებიც იყვნენ ისეთები იქნებიან!.. ამიტომ, სოფელმა დროზე მოიცილა ავთვისებიანი სიმსივნე!

— მაგრამ, ეს რომ უკანონობაა?

— კი, უკანონობაა! ასე ჩვენს წელთაღრიცხვამდეც არ აკეთებდნენ, ალბათ, ადამიანები, მაგრამ რა გარანტია გვაქვს, რომ კანონი კანონიერად გატარდება?! მით უმეტეს დღეს!.. ხალხს კანონის, მოსამართლეების, პროკურორის რწმენა დაეკარგა. ამიტომ გადაწყვიტეს ახლა, ალაიანელებმა იმ სახლის გადაწვა, ამიტომ ითხოვენ ისინი დამნაშავის ჩაქოლვას... გააკეთებენ კიდეც, თუ ხელში ჩაუვარდათ!

— ღმერთმა დაიფაროს ახალი ცოდვისაგან ეს ხალხი!.. კი, მარა, ის ბიჭი, რომ არ იყოს ამის ჩამდენი?..

... ამასობაში ნატახტარს გავცდით.

— ქალაქში მიდიხართ?

— მეტად აღარ შეგაწუხებთ. მცხეთის გადასახვევიდან რამეს გავყვები!..

— არა უშავს, გაგიყვანთ!

და მცხეთისკენ გადავუხვიეთ.

სამთავროსთან შეგვაჩერა, მადლი მოგვახსენა და თქვა:

— ეჭვი მაქვს, აქ, მცხეთაში მეგულებიან ის ბიჭები, გამოქცეულები... უნდა ვნახო და უნდა დავრწმუნდე, მართლა ქნეს ეს საქმე თუ არა... ვერ დამიმალავენ! გამოცდილი ვარ ასეთი საქმეების გარჩევაში... და თუ მართლა ჩაიდინეს!.. ჩემზე უსასტიკეს განაჩენს ვერავინ გამოუტანს მათ!.. და თუ, დამნაშავეები არ არიან... სახლის აშენებას რა უნდა? სოფელი თვითონ გამოისყიდის თავის ნაქნარს! ოღონდ, ყველას ეცოდინება, რომ სოფელი უპატრონო არ არის... უმსგავს საქციელს არავის შევარჩენთ! — თქვა და გამოგვემშვიდობა დამგზავრებული.

...ალაიანში, ალბათ, ისევ გიზგიზებდა ნაღვერდლიდან ავარდნილი ალი!

**ზაურ ფიფია**

◉ ინფორმაცია

## ორ თვეში ვაზისუბანი-თემქის გზა აღდგება

**თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური ვაზისუბანი-თემქის გადასასვლელი გზის რეაბილიტაციას 2 თვეში განახორციელებს. როგორც სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა განაცხადა, აღნიშნული მიმართულებით დამატებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში კიდევ რამდენიმე მონაკვეთის რეაბილიტირება იგეგმება.**

**„ვაზისუბნიდან თემქამდე გადასასვლელი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია უახლოეს ორ თვეში დასრულდება, რის შემდეგაც ვაზისუბანი-ვარკეთილის მოსახლეობა, რომელსაც სურს, გლდანში, თემქაზე ან ნაძალადევში მოხვდეს, ზღვის მიმდებარე ტერიტორიით ისარგებლებენ. ეს მანქანით დაახლოებით რვა-ცხრა წუთის სავალი გზაა. ასევე დაგვემატა ჩუღურეთის რაიონში მდებარე მამარდაშვილის ქუჩა. ეს მონაკვეთი კუკიის სასაფლაოსთან მიმავალი მჭიდროდ დასახლებული ქუჩაა, სადაც დევნილები ცხოვრობენ და მათთვის ამ ადგილის კეთილმოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. კეთდება არაყიშვილის ქუჩისა და მზიურიდან ამოსასვლელი ქუჩის თანხვედრაც. აღნიშნულ მონაკვეთზე პირველი ევროპული გზაჯვარედინი მოეწყობა“, — განაცხადა კობა სუბელიანმა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## განჩინება
### საქართველოს სახელით

22.06.2007 წელი — ქ. ხონი

**ხონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ოთარ მარჯანიშვილმა განიხილე ს/ს „კოლხეთის“ გაკოტრების მმართველის მ. მელქაძის განცხადება გაკოტრების კრების მოწვევის შესახებ.**

**ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით,**

**დავადგინე:**

**1. მოწვეულ იქნას ს/ს „კოლხეთის“ მიმართ კრედიტორთა კრება ხონის რაიონული სასამართლოს შენობაში (ხონი, ჭანტურიას ქ. №4ძ 2007 წლის 10 ივლისს 11 საათზე.**

**მოსამართლე ო. მარჯანიშვილი**

საქმე №3/133-07

## განჩინება
### საქართველოს სახელით

**საჯარო შეტყობინების შესახებ**

**5 ივნისი, 2007 წელი — ქ. მცხეთა**

**მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია მოსამართლე ს. ღურწკაია**

**მოსარჩელე — მიხეილ ვერულაშვილი**

**მოპასუხეები — 1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;**

**2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველო:**

**3. ბადრი კურტანიძე**

**დავის საგანი — ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილებების შეტანა.**

**ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების საკითხი და**

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ეცნობოს მოპასუხე ბადრი კურტანიძეს, რომ 2007 წლის 13 აგვისტოს 12 საათზე მცხეთის რაიონულ სასამართლოში (ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17ძ დანიშნულია სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა ადმინისტრაციულ საქმეზე მიხეილ ვერულაშვილის სარჩელისა გამო მოპასუხეების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს და ბადრი კურტანიძის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2. ეცნობოს მოპასუხე ბადრი კურტანიძეს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი არ გამოცხადდება სასამართლოს სხდომაზე, სასამართლო უფლებამოსილია სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა ჩაატაროს მისი დასწრების გარეშე.

3. ეცნობოს მოპასუხე ბადრი კურტანიძეს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები: მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება, საკადასტრო რუკა, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ბადრი კურტანიძეზე სადაო მიწის ნაკვეთის მიყიდვის შესახებ დოკუმენტების ასლები, რომელთა გაცნობის შესაძლებლობა მოპასუხეს აქვს მცხეთის რაიონულ სასამართლოში;

4. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;

5. განჩინება გამოიკრას მცხეთის რაიონული სასამართლოს განცხადებების დაფაზე;

6. სასამართლო უწყება მოპასუხისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციიდან ერთი თვის ვადაში;

7. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე ს. ღურწკაია**
**ასლი დედანთან სწორია**
**თანაშემწის მ/შ ს.ქავთარაძე**

## განცხადება
## სააქციო საზოგადოება „კომპლექტის“ მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**ს/ს „კომპლექტი“ აცხადებს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც შედგება 2007 წლის 20 ივლისს დღის 12 სთ-ზე, მისამართზე: ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. №7-ში.**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის სამეურნეო ანგარიში;
2. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხზე აქციონერებს დამატებით ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში. ის საკითხები, რომელიც მიმდინარე წლის 10 ივლისამდე წერილობით იქნება დაყენებული, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განიხილება საერთო კრებაზე.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აქციონერებს, რომელნიც 2007 წლის 20 ივნისამდე რეგისტრირებული არიან აქციონერთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საზოგადოება მისამართზე: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. №7.

**პატივისცემით,**

**დირექტორი ე. ჯანგულაშვილი**

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

# სხვადასხვა

კაი ხანია ნაირ-ნაირი პრეზენტაციით გვანებივრებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (მრავალი თაობის საყვარელი და „გამომშვები“ ყოფილი საჯარო...ძ. ორიოდ დღის წინათ საგამოფენო დარბაზში მორიგი წარდგინება გაიმართა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურისა და კომპაქტ-დისკებისა



## ◉ წარდგენა

# მოდი და ნუ აღმოგხდება, რა განძი გვქონიაო!..

**კაი ხანია ნაირ-ნაირი პრეზენტაციით გვანებივრებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (მრავალი თაობის საყვარელი და „გამომშვები“ ყოფილი საჯარო...ძ. ორიოდ დღის წინათ საგამოფენო დარბაზში მორიგი წარდგინება გაიმართა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურისა და კომპაქტ-დისკებისა.**

7 წლის წინათ შექმნილა ეს ცენტრი, რომელსაც პირველი დღიდან დღევანდლამდე პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი უდგას სათავეში და რამდენი რამ მოუსწრია! საღამოს გახსნამდე უბის წიგნაკით ჩამოვუარე სტენდებს და თვალების ამჭრელებელი დასტამბული პროდუქცია მოვიხილე. კაპიტალური, ძვირფასი გამოცემები, საგულდაგულოდ შეფუთული კომპაქტ-დისკები, მთელი საქართველოს ხალხური სიმღერა-მარგალიტების მომცველნი — აგიჭრელდება მზერა, მაშ რა!

მერე იყო ჩვენი შესანიშნავი ხელოვანის ანზორ ერქომაიშვილის ვრცელი, ემოციური და მომნუსხავი გამოსვლა, მართლაც რომ, სრული სურათი დაგვიხატა უკვე მსოფლიოში და გალაქტიკაშიც (იქ გატყორცნილი „ჩაკრულო“ გავიხსენოთ!ძ აღიარებული იშვიათი ქართული ფენომენის, ხალხური სიმღერის გარშემო, მისი წარსულით, აწმყოთი და სამომავლო პერსპექტივებით.

„ჟღერდა“ და „ჟღერდა“ ლეგენდარული სახელები: **ფილიმონ ქორიძე, ვანო სარაჯიშვილი, ჯოკია მეშველიანი, კირილე პაჭკორია, ავქსენტი მეგრელიძე, ძუკუ ლოლუა, არტემ ერქომაიშვილი, ლადო გეგეჭკორი, სანდრო კავსაძე** და სხვანი და სხვანი.

...ფილიმონ ქორიძე, ბანი, 1872-ში „ლას-კალაში“ მღერო და... პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩანაწერს მივაკვლიეთ, როგორ მღერის 80 წელს მიტანებული მოხუცი ქართულ რომანსებს და კომპაქტ-დისკში გადავიტანეთო, — ამბობს ბატონი ანზორი, სურამში ვანო სარაჯიშვილის კონცერტზე მოგონება მოვისმინეთ ნოდარ ანდღულაძის დედის, ქალბატონ ვარვარასი (თავადაც მომღერლისაძ — ასე მეგონა, ვანოს ხმაზე ხის ფოთლებიდან ვერცხლი მოცვიოდაო. საქართველოს ბულბულის ხმაც საიმედოდ „დაკომპაქტდისკებულა“...

სამადლობელი ითქვა სამი ქველმოქმედი პარლამენტარისა. გოდერძი ბუკიამ, ნიკო ლეკიშვილმა, ვანო ჩხარტიშვილმა მარტო ფული კი არა, გულიც ჩადეს ამ საქმეებში. ხალხური სიმღერის ფესტივალების მოწყობა, უნიკალური წიგნებისა და კომპაქტ-დისკების გამოშვება, არაერთი სხვა ღონისძიება, ამ ეროვნულ სიმდიდრესთან დაკავშირებული (კიდევ უკეთესი იქნება, „თავიანთი“ კუთხეების გარდა, სხვებსაც თუ მიხედავენო, გამოითქვა მოგვიანებით სურვილი...ძ.

ქება შეესხა ვახტანგ როდონაიას, მთელი ამ პუბლიკაციების მთვარ რედაქტორს, ოცნებათა ძველისძველთა ხორცშესასხმელად ღამეთა მთეველს, ქება შეესხათ გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“, სტამბის მუშაკთ, საქმის გულისთვის აგრეთვე ღამის გამტეხთ...

არც ამას წინათ ხოზში შემდგარი სიმღერის ფესტივალი დავიწყებია მომხსენებელს, ზურაბ სოტკილავას იუბილესადმი მისადაგებული, სადაც 12 ქვეყნის წარმომადგენლები ოდენ ქართულად და მეგრულად გალობდნენ...

ბატონი ანზორის შემდეგ იყო სხვათა გამოსვლებიც. ერთმა საჩხერეში აკაკის იუბილე გაიხსენა, როცა (სიკვდილამდე წელიწადნახევრით ადრეძ მგოსანს ხელები გადაუხვევია, აქეთ-იქით, ძუკუ ლოლუასა და სანდრო კავსაძისათვის — იმერისა და ამერის ერთიანობის სიმბოლოდ... მეორემ შენიშნა, როგორც ამ კომპაქტ-დისკებშია სიმღერებით საქართველო გაერთიანებული, ისე გავერთიანებულიყავით მალეო და გალაკტიონი დააყოლა — „აღმოსავლეთ-დასავლეთის გზა მიხვეულ-მოხვეული, „იავნანა მეგრელ დედის, აფხაზური, მოხევური“... მესამემ სრულიად დამსახურებული ხოტბათა-ხოტბა მიუძღვნა შეკრების მთვარ ფიგურანტს, მთელი ამ „მოძრაობის“ სულსა და გულს ანზორ ერქომაიშვილს, რომლის დიდი წვლილიცაა, რომ იუნესკო ქართული საგალობლის პატრონატს ეწევა...

ეს საღამო, მართლაც რომ, ლამაზად დააგვირგვინა „ვოკალურმა ფურშეტმა“. ანსამბლმა „ანჩისხატმა“ დიდებულად შეასრულა სამი ხალხური სიმღერა, მათ შორის ერთი კრიმანჭულიანი. გვერდით ციცქნა გოგონა მეჯდა და საოცარი სიზუსტით თავისთვის „მიაღიღინებდა“ მელოდიებს. გამიკვირდა ამ „გაჯაზებულ“ და „გაროკებულ“ ხანაში ბავშვისგან ქართული ხალხური სიმღერის ასეთი სიყვარული და გამოველაპარაკე. 9 წლის მეოთხეკლასელი ანა წიქორიძე აღმოჩნდა, მუსიკოს დავით წიქორიძის ქალიშვილი. პედაგოგ ბელა ურუშაძის მეთვალყურეობით ეუფლება საგანს და შინ „ანჩისხატის“ კომპაქტ-დისკიც აქვს. ტელეფონი გამოვართვი და დავპირდი — თუ ეს წერილი გამოქვეყნდება, აუცილებლად დაგირეკავ-მეთქი.

**თამაზ ებანოიძე**

## ◉ ინფორმაცია

### დაზარალებული სამტრედიელებიც გაიხსენეს

**იმერეთის გუბერნატორმა აკაკი ბობოხიძემ გუშინ სამტრედიაში 1991-1992 წლებში სამოქალაქო ომის დროს დაზარალებულთათვის დასახმარებლად თანხა ჩაიტანა.**

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით სამოქალაქო ომის დროს დაზარალებულთათვის დახმარების თანხა გამოიყო. სამტრედიის რაიონისთვის 562 ათასი ლარია გადარიცხული.**

**როგორც იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში განაცხადეს, აკაკი ბობოხიძე სამტრედიაში დაზარალებულებს შეხვდება და თანხას პირადად გადასცემს. სამტრედიაში სამოქალაქო ომის დროს ათობით სახლი დაიბომბა. დაზარალებულები თანხას ათ წელზე მეტია ითხოვენ.**

### ავტომანქანა მტკვარში გადავარდა

**ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიასთან, მტკვრის სანაპიროზე ავტომანქანა წყალში გადავარდა.**

**როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურიდან იტყობინებიან ავტომანქანაში ორი მგზავრი — ქალი და მამაკაცი იმყოფებოდნენ. ავტოავარიის შედეგად ორივე მათგანი გადარჩა და ისინი მტკვრიდან ცოცხალი ამოიყვანეს.**

**ინტერპრესნიუსი**

№2/767-07

# განჩინება

### პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ

22 ივნისი 2007 წელი — თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამარლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ელისო ტუკვაძე**

| | |
|---|---|
| **განმცხადებელი:** | **მარიამ კონიაშვილი** |
| **მოწინააღმდეგე მხარე:** | **მევლუდ მუმლაძე** |
| **დავის საგანი:** | **გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინება** |

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ეცნობოს მოვალე მევლუდ მუმლაძეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის გადახდის ბრძანებით მას მარიამ კონიაშვილის სასარგებლოდ დაეკისრა 13 333 (ცამეტიათას სამას სამოცდაცამეტიძ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში გადახდა;

2. ეცნობოს მოვალე მევლუდ მუმლაძეს, რომ თუკი პუბლიკაციიდან 1 (ერთიძ თვის გასვლიდან 10 დღის ვადაში გადახდის ბრძანებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეთა კოლეგიაში არ შემოიტანს მოტივირებულ წერილობით შესაგებელს (პროტესტსძ, განმცხადებლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო გასცემს სააღსრულებო ფურცელს;

3. ეცნობოს მოვალე მევლუდ მუმლაძეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აპრილის განჩინებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის შუამდგომლობა გადაწყვეტილების (გადახდის ბრძანებისძ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ;

4. ეცნობოს მოვალე მევლუდ მუმლაძეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია განცხადება და თანდართული დოკუმენტები: განცხადება გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ, ვალის აღიარების შესახებ 2005 წლის 5 სექტემბრის ხელშეკრულება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა გაცნობის შესაძლებლობა აქვს სასამართლოში;

5. განჩინების გამოქვეყნება გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ საკუთარი ხარჯებით დაევალოს განმცხადებელს;

6. განჩინება გამოიკრას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განცხადებების დაფაზე;

7. გადახდის ბრძანება და განჩინება გადაწყვეტილების (გადახდის ბრძანებისძ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ მოვალისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციიდან 1 (ერთიძ თვის ვადაში;

8. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე ელისო ტუკვაძე**

**თანაშემწე ნ. ქართველიშვილი**

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვინაიდან ეს საკითხი სხვადასხვაგვარად ამიხსნეს, გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი ქონება ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად?**

**რატი ჭილაძე**

**პასუხი:** მეუღლეთა თანასაკუთრებად ითვლება ქონება, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების მიერ შეძენილია ერთად ცხოვრების პერიოდში.



* * *

**კითხვა: ამ რამდენიმე დღის წინათ დაწესებულების ადმინისტრაციამ სამუშაოდან გამათავისუფლა, ისე, რომ წინასწარ არც გამაფრთხილეს. როგორც ვიცი, ევალებოდათ ერთი თვით ადრე წერილობით გავეფრთხილებინე მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. გთხოვთ, გამაგებინოთ, აკისრიათ თუ არა კანონით ასეთი ვალდებულება?**

**გოჩა თავართქილაძე**

**პასუხი:** სამწუხაროდ, ახალი შრომის კოდექსი აღარ ავალდებულებს ადმინისტრაციას, ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. ასეთ ვალდებულებას ითვალისწინებდა 2006 წლის 4 ივლისამდე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

# განცხადება

### სატენდერო შეთავაზებით სს „კრწანისი-99“-ის აქციათა სამართლიან ფასად გამოსყიდვის თაობაზე

**სატენდერო შეთავაზებით სს „კრწანისი-99“-ის აქციათა სამართლიან ფასად შეძენისათვის „გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად“ დადგენილია 2007 წლის 27 აგვისტო, რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.**

შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს შენობა (სასტუმრო „აფხაზეთის“ პირდაპირძ, XI სართული, ოთახი №1120. ტ. 898 30-35-90.

**ჩვენი გაზეთის 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ ამ განცხადებაში გაპარულია შეცდომა — ტელეფონის ნომრად მითითებულია 899-30-35-90.**

● **ამ ლამაზი ქართული ჟურნალის სახელწოდება, როგორც მკითხველიც ამჩნევს, მომავალზეა გაანგარიშებული, ხვალის დღეზე, — რამაც არ შეიძლება არ მოგვაგონოს შესანიშნავი ქართული ფილმი „პირველი მერცხალი“, რაც ქართული ფეხბურთის დადგინებაზე იყო გათვალისწინებული**




**ჭიდაობა**

# უხვი ნადავლით

**ირანის ქალაქ არდაბირში დამთავრდა 1990-1991 წლებში დაბადებულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. საპრიზო ადგილებისთვის ორივე სახეობაში 7 ქვეყნის 300-მდე წარმომადგენელი იბრძოდა. მათ შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები, რომლებმაც საერთო ჯამში 15 მედალი მოიხვეჭეს და მასპინძელთა შემდეგ საერთო გუნდურ მეორე ადგილზე გავიდნენ.**

ისიძ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

ასევე კარგად იასპარეზეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმაც (მთავარი მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი, მწვრთნელი ამირან მაისურაძე, მსაჯი — გია კოშიტაძე. „ოქროთი“ დაიმშვენეს მკერდი დავით მარსაგიშვილმა (76, ყაზბეგიძ და თორნიკე ხიდეშელმა (100, გარდაბანიძ. მეორე ადგილზე გავიდნენ ვასილ მამულაშვილი



რაც შეეხება პირად პირველობას, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მთავარი მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი, მწვრთნელი ზაზა სილაგაძე, მსაჯი ზაზა ჯიბლაძეძ კვარცხლეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ პაატა ბაკურაძე (63 კგ. ბათუმიძ და ვასილ იმერლიშვილი (100 რუსთავიძ. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო დავით ტაკაშვილმა (58, გარდაბანიძ, ხოლო ჯემალ ხარაბაძე (50, ხულოძ, ზურაბ დათუნაშვილი (58, თბილისიძ, ოთარ რამიშვილი (76, ოზურგეთიძ და გიორგი ღვინიაშვილი (76, ქუთა- (54, საგარეჯოძ, გიორგი გაბისიანი (69, ამბროლაურიძ და ოთარ ურატაძე (76, ქუთაისიძ; ვლადიმერ ხინჩაგაშვილს (50, გორი), დავით ხუციშვილსა (58, საგარეჯოძ და გიორგი ჩიტაშვილს (85, ყვარელიძ მესამე ადგილები ხვდათ.

ამ ასაკში საქართველოს ნაკრების წევრები 2-8 ივლისს ტრაბზონში შავიზღვის პირველ თამაშებზე გამოვლენ, 22-30 ივლისს კი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**გამოიცა**

**ამ ლამაზი ქართული ჟურნალის სახელწოდება, როგორც მკითხველიც ამჩნევს, მომავალზეა გაანგარიშებული, ხვალის დღეზე, — რამაც არ შეიძლება არ მოგვაგონოს შესანიშნავი ქართული ფილმი „პირველი მერცხალი“, რაც ქართული ფეხბურთის დადგინებაზე იყო გათვალისწინებული, რასაც, როგორც ყველამ ვიცით, კიდევაც მოჰყვა პაიჭაძის, ღოღობერიძის, მესხის, მეტრეველის, ხურცილავას, ყიფიანის ხანა... ქართველმა გულშემატკივრებმა შეიცნო და შეიყვარა ფეხბურთი. გაითავისა. გაიქართულა.**

# „ქართული ჩოგბურთი“

რატომ არ გვიყვარს იმავე დონით ქართველებს რაგბი?

იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით კარგად ამ თამაშის წესები. მისი ხილული და მისი ფარული ნიუანსები.

ასევე არ ვიცით, შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით ჩოგბურთი.

გვყავდა მეტრეველი, მესხი, კაკულია (მეტრეველი და მესხი აქაც განმეორდაძ, მათი რანგის სპორტსმენები, სამწუხაროდ, სადღეისოდ არა გვყავს. გვეყოლებაო, გვეუბნება ქართული ჟურნალი: მისი მესვეური, გამმართველი, რედაქტორი.

ქართული ჩოგბურთი ჯერჯერობით წამგებიანია, ვკითხულობთ ერთ-ერთ ინტერვიუში, მაგრამ მომგებიანი გახდება. მოგებაში იგულისხმება ფული (ქონებაძ, მაგრამ, რაც მთავარია, იგულისხმება თავად პიროვნება, სპორტსმენი. ის, რაც მოაქვს სპორტს, უწინარესად, ტანის სიმრთელე, სულის მხნეობა. ფართო გაგებით, ერის (ილეთებსძ, ოფლის ნატამალი არ ამჩნევია. ოფლი, მან, როგორც ჩანს, ადრე, სწავლის პროცესში ღვარა, ვიდრე ასპარეზზე გამოვიდოდა. და ღვარა ალბათ ძალზე დიდძალი ოფლი.

ასევე თავისუფალი და ლაღი იყო ის ფინტი, მიხეილ მესხმა რომ მთელ მსოფლიოს შეაყვარა, თუმცა იმ ფინტის უკან დიდი შრომა, ოფლი იყო ჩაღვრილ-ჩატანებული.

ყველაფერი შრომობს ამ დალოცვილ სამყაროში, გვეუბნება „ქართული ჩოგბურთი“, — ადამიანი, მცენარე, ნადირ-ფრინველი. შრომობს დედამიწა. ტრიალებს გამუდმებით, შრომა გადაგვარჩენს.

უფროს მესხზე ნაკლებად ნიჭიერი როდი იყო უმცროსი მესხი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მამამ მეტი იშრომა, ვიდრე შვილმა.

დღეს ქართველ ჩოგბურთელებს მეტი შრომა მართებთ, ვიდრე მეტრეველსა და მესხს, კაკულიას, თუ გვინდა, რომ სიჯანსაღე და ღონიერება.

ჩვენი დროის უპირველესი ჩოგბურთელი, ფედერერი ჩვენებური არაა, ცხადია, მაგრამ მისი თამაშის ყურება არ მოგწყინდება. სხვა რომ გაჭირვებით (აჭით და გაჭითძ დასდევს ბურთს, იგი თითქოს ადგილსაც არ იცვლის. ბურთი იქ მიდის, სადაც ის იმყოფება („მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“ძ, და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მისეულ მიხვრა-მოხვრას ჩვენმა ნაშრომ-ნაამაგარმა ნაყოფი გამოიღოს.

ჩინელი მოძღვარი გვეუბნება, უკვდავია ის, ვინც (რაცძ შრომობს და საფასურს (სამაგიეროსძ არ ითხოვსო (თანამედროვე სპორტი, ცხადია, ამ შეგონების ერთგული არააძ, უკვდავია ცა და მიწა, თავიანთი თავისთვის რომ არაფერი არ უნდათ.

ვატყობ, ნამეტანი დიდაქტიკური საუბარი გამომდის.

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

ეს არაა დიდაქტიკა?

„ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი“, — ან კიდევ ეს გამონათქვამი-შეგონება?

დავივიწყოთ ის, რაც მე ამ წერილში ვილაპარაკე, და დავიხსომოთ ის, რაც გვითხრა დიდმა პოეტმა, და, ეჭვი არ მეპარება, ქართული ჩოგბურთი იქნება ისეთი, როგორიც გვენატრება.

გავიგონოთ, მივყვეთ და შევიცნოთ-გავითავისოთ, რასაც გვეუბნება ეს ტკბილქართული ჟურნალი და საქმეც გაიჩარხება, ქართული ჩოგბურთიც აღორძინდება და ჩვენებური გულშემატკივარი ჯადოსნური ილეთების მოწმე შეიქმნება.

**მურმან ჯგუბურია**

**გივი ჩოხელი — 70**

# მწვანე მინდვრის რაინდი

**უბრწყინვალესი ოსტატები, პაიჭაძე-შავგულიძის თაობიდან დაწყებული ღოღობერიძე — ელოშვილით დამთავრებული, სამწუხაროდ, ისე გამოეთხოვნენ დიდ ფეხბურთს, რომ ვერ გახდნენ ყოფილი სსრ კავშირის ჩემპიონები და თასის მფლობელები, თუმცა ამას არაერთგზის იმსახურებდნენ. გივი ჩოხელმაც, ამ უდავოდ გამორჩენილმა სპორტსმენმა, მათი ბედი გაიზიარა — 1963 წელს, ავადმყოფობის გამო, 26 წლის ასაკში, თავისი სპორტული ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში, გამოეთხოვა საყვარელ საქმიანობას, რითაც გული დაწყვიტა მის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელს.**

გივი ძალიან თავმოყვარე იყო და უფრთხილდებოდა ავტორიტეტს. მას შეეძლო ყოფილიყო გუნდში, მაგრამ იცოდა, რომ ჩვეული ენერგიით უკვე ველარ ითამაშებდა.

გ. ჩოხელმა, იმ დროს ევროპაში უძლიერესი სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებში პირველად მოიზომა თბილისის „დინამოს“ მაისური 1957 წლის 6 აპრილს მოსკოველ თანაკლუბელებთან შერკინებისას. ამ დღეს ასევე დებიუტი ჰქონდა სახელოვან მეკარეს, შემდგომში მის უახლოეს მეგობარს სერგო კოტრიკაძეს. სტაჟიან გულშემატკივარს ახსოვს ის დაძაბული მატჩი, რომელსაც ჩვენთვის „დაუვიწყარი“ ნ. ბალაკინი სჯიდა.

1959 წელს თბილისის „დინამოს“ ისევ დაუბრუნდა უდიდესი მწვრთნელი ანდრო ჟორდანია, რომელმაც ახალგაზრდობას ხელში მისცა სადავეები და ხუთწლიანი, სერიოზული ჩავარდნის შემდეგ გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

სეზონის გახსნისას, მოსკოვის „სპარტაკთან“ შეხვედრაში ჩოხელს საუკეთესო თამაშისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა. ანალოგიური ჯილდო მიიღო სტუმართა კაპიტანმა, ლეგენდარულმა იგორ ნეტომ. აღსანიშნავია, რომ გივიმ შოთა იამანიძესა და ზაურ კალოევთან ერთად ოცდაორივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, რაც მის აღიარებას ნიშნავდა.

ცნობილი მიმომხილველი ა. ვიტი წერდა: „საქართველოს საფეხბურთო ქვეყანას უწოდებენ. ეს სწორი მტიკიცებაა, მაგრამ ამას დაზუსტება სჭირდება. საქართველო ფორვარდების ქვეყანაა, მაგრამ ამ სეზონში ქართულ ფეხბურთში პირველად გამოჩნდა ჩინებული მცველი გივი ჩოხელი“.

ჩილეში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ „ნოვოსტის“ სააგენტომ ნაკრების 22 ფეხბურთელის სპორტული დახასიათებისას ჩოხელზე აღნიშნა, რომ იგი მძლავრი აღნაგობის, ბრგე (სიმაღლე 183 სმ, წონა 80 კგ.ძ, მინდორზე მოქმედებს დინჯად, წინდახედულად, ცდილობს, არ გამორჩეს მხედველობიდან სახიფათო პოზიციაში მყოფი რომელიმე ფორვარდი. მისი მოძრაობები მინდორზე იმდენად გამოთვლილი და ზუსტია, გეგონებათ, თამაშისას იგი გეომეტრიის კანონებს მიმართავსო.


კახი ასათიანი და გივი ჩოხელი დილმის ბაზაზე

— სამწუხაროდ, ჩილეში ვერ შევძელით გამოგვევლინა საუკეთესო თვისებები, — იხსენებდა გივი... ალბათ გუნდს დაეტყო ის, რომ არ ჰქონდა ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილება.

საერთოდ, გივი ჩოხელს ზონური თამაში უფრო მოსწონდა. აქ საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის უფრო მეტ შესაძლებლობას ხედავდა. საინტერესოდ თვლიდა გონიერი, ამოუცნობი თავდამსხმელების წინააღმდეგ თამაშს.

შოთა იამანიძე ვერ იხსენებდა ერთ შემთხვევასაც კი, რომ გივის შეძლებოდა მეგობარს დახმარება ცხოვრებაში თუ მოედანზე და არ დახმარებოდა. ხშირად ამას მოპოვებული რეპუტაციის, ზოგჯერ საკუთარი ჯანმრთელობის საზარალოდაც აკეთებდა. გარეგნულად ჩოხელი ყოველთვის მშვიდი იყო, თითქოს ფლეგმატურიც, მაგრამ წარუმატებლობას ძალიან განიცდიდა, თუმცა გახელების დაფარვა ხომ ცოტას შეუძლია.

გივი ჩოხელი მზრუნველი, პატიოსანი, ალალმართალი კაცი იყო მუდამ. ცხოვრების გზა განვლო სამაგალითოდ, თუმცა მისი დიდი სპორტსმენობა და წესიერება დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოსულებმა არ გაითვალისწინეს და სამსახურიდან გაანთავისუფლეს, იმის მაგივრად, რომ ხელისგულზე ეტარებინათ (სამწუხაროდ, დღესაც ანალოგიური მდგომარეობაა, შეიძლება უფრო უარესიცძ. ყოველივეს ვერ გაუძლო მისმა სათუთმა გულმა და 1994 წლის 25 თებერვალს გარდაიცვალა.

გივი ჩოხელი, მიხეილ მესხთან და სლავა მეტრეველთან ერთად, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1960 წელს ევროპის თასის მფლობელი გახდა. დღეს ისინი ერთმანეთთან ახლოს განისვენებენ საბურთალოს სასაფლაოზე.

ფასდაუდებელია გივი ჩოხელის ღვაწლი ფეხბურთის განვითარებაში. დღეს, მწვანე მინდვრის დიდოსტატს 70 წელი შეუსრულდებოდა.

**დემიკო ლოლაძე**

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

# კულტურა

● ჩვენი ქვეყანა ოდითგან ცნობილია ხანდაზმულთა მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით და ადამიანური დამოკიდებულებით და მჯერა, რომ ამ თვისებას ჩვენი ერი არ დაკარგავს



◎ „დღეგრძელობის კვირეულის“ ორი ამბავი

## 1. რა არ უნდა დავკარგოთ

**საერთაშორისო ასოციაცია „930“, რომლის დევიზია „რომ არ დავბერდეთ“ თავისი არსით მრავალჟამიერია, ამიტომ ბუნებრივია, რომ საზაფხულო კვირეულის მთავარი აპოგეა წმ. სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გამართული სიმღერა მრავალჟამიერის საღამო იყო. მას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც დაუკავშირდა.**

ვინაიდან 22 ივნისი ბუნებაში ყველაზე გრძელი დღეა, ასოციაციამ თავისი მიზნებიდან გამომდინარე (იგი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნავს) გადაწყვიტა ეს დღე დღეგრძელთა დღით აღენიშნა და ლოგიკურად მიიჩნია დღეგრძელობის ორდენებით დაეჯილდოებინა ის ღირსეული მამულიშვილები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ადამიანთა სულიერი თუ ფიზიკური კეთილდღეობის საქმეში. ასოციაციის რჩეულნი აღმოჩნდნენ: **ნინო ჯავახიშვილი, ანა კალანდაძე, მედეა ჩახავა, მერაბ ბერძენიშვილი, ბიძინა კვერნაძე, ირაკლი ციციშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჩხეიძე, ბიძინა ივანიშვილი...**

ასოციაციის პრეზიდენტმა მარინა მალაზონიამ პირველი დღეგრძელობის ორდენის მფლობელად დაასახელა **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.**

დაჯილდოების ცერემონიალი მიმდინარეობდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის მშვენების, მრავალჟამიერის ფონზე, რომელსაც ასრულებდნენ ფოლკლორული ანსამბლები: **„ბასიანი“, „რუსთავი“, „შავნაბადა“, „მართვე“, „ბიჭები“, „იმერი“, წმ. სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი**. ამ დღეს ანსამბლებმა მრავალჟამიერის სხვადასხვა ვარიანტი შეასრულეს და საზოგადოება ერთხელ კიდევ დაარწმუნეს ამ შედევრის უნიკალურობაში. ამაში ანზორ ერქომაიშვილის წვლილი ერია.

— მოიფიქრო დღეგრძელობის ორდენი და შეურჩიო ფორმა და შესატყვისი მუსიკალური სიმბოლო, ეს ხომ მშვენიერია, — ასე დაიწყო მრავალჟამიერის ფენომენზე საუბარი თბილისის კონსერვატორიის პრორექტორმა, მუსიკათმცოდნე **რუსუდან წურწუმიამ.**

დღეგრძელობის ორდენის კავალრები უზომოდ მადლიერნი დარჩნენ ასოციაცია „930“-ის მესვეურებისა, რომლებმაც იდეა მოიფიქრეს და ხორცივ შეასხეს.

**— ჩვენი ქვეყანა ოდითგან ცნობილია ხანდაზმულთა მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით და ადამიანური დამოკიდებულებით და მჯერა, რომ ამ თვისებას ჩვენი ერი არ დაკარგავს,** — აღნიშნა **ნინო ჯავახიშვილმა.**

სხვაგვარი არც უნდა ყოფილიყო, ალბათ, დღეგრძელობის კვირეულის ბოლო აკორდი. მას უნდა შეეხსენებინა ჩვენთვის რომ ტრადიციებმა კვლავაც უნდა იდღეგრძელოს.



## 2. თითქმის დაუჯერებელი...

**იმ დღეს „ლაგუნა-ვერე“ და იქ მყოფი საზოგადოება ერთობ უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ. ასოციაცია „930“-ის თაოსნობით, რომელიც იმისათვის იღვწის, რომ ადამის ასაკს „მივუკაკუნოთ“, საცურაო ბილიკებზე პაპები და შვილიშვილები გამოვიდნენ. მართალია, მათ ცალ-ცალკე გაცურეს და ერთმანეთს არ შეჯიბრებიან, მაგრამ თაობებმა უთუოდ თავი მოაწონეს ერთმანეთს. თუმცა თავის მხრივ არც პაპები გაჯიბრებიან ერთმანეთს და არც შვილიშვილები. ისინი უბრალოდ იმას ამტკიცებდნენ, რომ სიცოცხლე მშვენიერია.**

უწინარესად სტარტზე პაპები გამოვიდნენ, რომელთა შორის ყველაზე უმცროსი 70 წლისა იყო, ყველაზე უფროსი კი 78-ის. აი, ისინი: **კახი კავსაძე, გივი გადელია, შალვა კვინტრაძე, გივი მაისაია, ალეკო თუთბერიძე,** ისინი ერთმანეთს ნელ ცურვაში „რაჭულში“ ეჯიბრებოდნენ.

ხანდაზმულებში გამარჯვება იმას მიეკუთვნებოდა, ვინც ფინიშზე ბოლო მივიდოდა. სანახაობა-ასპარეზობის „მთავარმა არბიტრმა“, გინესის რეკორდსმენმა **ჰენრი კუპრაშვილმა** მოასპარეზენი გააფრთხილა, რომ წყალზე გაჩერება აკრძალული იყო და ამდენად, ნელი ცურვა სულაც არ იყო იოლი. როცა ფინიშამდე ათიოდე მეტრი რჩებოდა, ცნობილმა მსახიობმა **კახი კავსაძემ** სიხარული ვერ დამალა, ეგონა ყველაზე ბოლოს თვითონ მიდიოდა, მაგრამ როცა უკან მოიხედა და 15 მეტრით ჩამორჩენილი 78 წლის **შალვა კვინტრაძე** დაინახა, გაოცებულმა გულწრფელად წამოიძახა: არა, ეს დაუჯერებელია! ბოლოდან პირველ ადგილზე დამაჯერებლად გავიდა შალვა კვინტრაძე. თუმცა პრიზი ყველას ერთნაირი ერგო.

ამ დღეს ჰენრი კუპრაშვილმა აუზთან თავის აღსაზრდელებსაც უხმო — უძველესი ქართული ცურვის სახეობებით მოასპარეზე ყმაწვილებს (თავისუფალი კოლხური, ოკრიბულა, იბერული, აფხაზური, ხელ-ფეხ შეკრული კოლხურიძ, ამ სახეობებში ხელ-ფეხის მოსმა გამორიცხულია. ზოგი სახეობა კი ხელ-ფეხ შეკრულ ცურვას ითვალისწინებს. აქ მთავარია სხეულის, მეტადრე წელის სიძლიერე და მოქნილობა. ყმაწვილებმა 50-მეტრიანი ტრასა სწრაფად დაფარეს, ამიტომ ლოგიკურიც კი იყო ერთ-ერთი მაყურებლის დასკვნა: **როგორც ჩანს, ადამიანის უძველესი საცხოვრისი გამოქვაბული კი არა წყალი იყოო.**

სანახაობის შემდეგ ბატონმა ჰენრიმ თქვა, რომ ამ ყმაწვილთაგან ორს თბილისის ზღვა ჰქონდა გადაცურული ხელფეხშეკრულს და აქვე საინტერესო იდეა დაებადა. თუ სპონსორი გამოუჩნდებათ, ჩვენი ბავშვების ჯგუფი ამ მეთოდით დარდანელის სრუტესაც გადალახავს და გარდა იმისა, რომ გინესის რეკორდების წიგნში უნიკალურ გვერდს შეავსებს, მსოფლიოს სერიოზულად აალაპარაკებს უძველესი ქართული ცურვის სახეობების შესახებ.

იმედია, საერთაშორისო ასოციაცია „930“ ამ საქმესაც მოაბამს თავს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**სურათზე: მადლობას იხდის მერაბ ბერძენიშვილი.**

◎ იმედი ხვალის!..

# მე ისე ვხატავ სამყაროს, როგორც ვხედავ!

**გალერეა „ნიუარტში“ ნორჩ მხატვართა გამოფენა მოეწყო, სადაც ორხევის სკოლა-ლიცეუმ „სანთელთან“ არსებულ ნორჩ მხატვართა სტუდია „ცისარტყელას“ და ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობამ საკუთარი ნამუშევრები წარმოადგინა. სულ 25 ბავშვი მონაწილეობდა და ორასამდე ექსპონატი გამოიტანეს.**

**ისინი ჯერ სრულიად ნორჩები არიან, — ყველაზე უფროსი 15 წლისაა, უმცროსი — ოთხის(!ძ**

**რას გვიამბობენ მათი ნახატები?**

ძლიერი, სასტიკი და დაუნდობელი ნადირთ-მეფე ლომი ცეცხლოვან ფერებში, მაგრამ... თვალები? თვალებში სულ სხვა რამ ირეკლება — თბილი, ლმობიერი, სიკეთითა და სიბრალულით სავსე გამოხედვა. ეს შვიდი წლის **ერეკლე ბოლქვაძემ** დახატა და ლომის თვალებში... საკუთარი ხასიათი ჩადო. მისი ორიგინალურობა იქცა სწორედ ამ ნახატის მოწონების მიზეზი და ჯერ კიდევ შარშან გალერეა „ჰობში“ წარმატება მოიპოვა. ყურადღებას იპყრობს თიხისაგან ნაძერწი „კრუხს შეფარებული წიწილები“.

**— ერეკლე, საიდან მოდის ეს ჩანაფიქრი?**

— სოფლიდან, იქ ვნახე კრუხი, თუ როგორ იყო გადაფარებული თავის წიწილებს, დედა მომაგონა, ჩვენ შვიდი და-ძმა ვართ, შვიდივე პატარები, და... დედაც ასე გვიფარავს!..

უფრო მეტიც, შეიძლება მგელსაც ასეთი სათნოებით სავსე თვალები დაუხატონ?! ერთი შეხედვით ჯიუტი, თავდაჯერებული, საკმაოდ ცელქი, ბიჭუნა **საბა კობახიძე** ბავშურ სათნოებასა და დამთმობ ხასიათს თავს მაინც ვერ აღწევს და მისი „მგლის“ თვალებშიც სწორედ იგივე გამოხატულება იგრძნობა.

**— საბა, რატომ გიტაცებს უმეტესად მგლების ხატვა და მათი ინსტიქტების სხვადასხვაგვარი გადმოცემა?**

იმიტომ, რომ მგელი ძლიერიც არის და საკმაოდ ჭკვიანიც, — ამბობს პატარა საბა, ამიტომ მიყვარს მისი ხეტვაო.

ბუნების სილამაზის განცდა პატარა შემოქმედთა აზროვნებაში გამოხატულებას საოცრად ლამაზ და სიმშვიდის მომგვრელ პეიზაჟებში პოულობს:

— ჩვენ ფული არ გვქონდა იმისთვის, რომ დედას სადმე შორს წავეყვანე ახალი და უცხო პეიზაჟების შესაქმნელად, — ამბობს 15 წლის **ელენე ზურაბიშვილი...** და თვითონ შექმნა ისეთი საინტერესო და ლამაზი პეიზაჟი, თავადვე მოიპოვა სულიერი სიმშვიდე — მოლივლივე ფართო ტბა შეცურებული ნავებითა და ულამაზესი ტყის სიმწვანით, ლურჯი ცა და... ჰარმონიული ფერები!



საბა კობახიძე — „მგელი“

... „მარტოსული ირემი“, მედგარი და დაჟინებული, მოლოდინით სავსე თვალებით, ლამაზი, ძლიერი, თავდაჯერებული, მაგრამ მაინც მარტოსული. ეს 9 წლის **დავით ბოლქვაძემ** დახატა. სხვა ნამუშევართა შორის ეს ნახატი ყურადღებას სწორედ იმედიანი მოლოდინითი იპყრობს — ერთ წერტილს მიჩერებული და მარტოობისაგან თავდასაღწევად მეორეს ელოდება!...

... „ორთაბრძოლა“ — ცხენი და ლომი შერკინებული, ირგვლივ ისეთი ცოცხალი და მუქი ფერებია, თითქოს მართლა ბრძოლის კორიანტელი იდგეს, რა ზუსტად ასახავს ბრძოლის ხასიათს. ბოლოს რომელი სძლევს? — ლომი! — ამბობს 14 წლის **გიორგი ტურაშვილი.**

ყურადღებას იქცევს ოთხი წლის **ნატალია მესტვირიშვილის** საინტერესო ფერებში გადაწყვეტილი — „სახლი“, „გოგონა, და „კურდღლები მინდორზე“.

* * *

რა უსასრულოა, რა ამოუწურავი, უკიდეგანო და დაუშრეტელი მათი შინაგანი ხედვა, ძიება. სურთ საკუთარი თვალებით დანახული რეალობა ტილოზე ასახონ. ერთგვარი ტანჯვაც არის ხელოვნება, მაგრამ... ბედნიერი ტანჯვა(!)... ბედნიერება — როცა მიაგნებ, ტანჯვა — როცა რეალობას უსწორებ თვალს.

შეუძლებელია სხვაგვარად შეაფასო მისტიკური თემები 15 წლის **ინგა მეშვილდიშვილის** შემოქმედებიდან: „ორი მონაზონი საფლავს თხრის“, — დაღლილი, მრავლისმთქმელი სახეებით...



ერეკლე ბოლქვაძე — „ლომზე ამხედრებული წმინდანი“

**— ინგა, რას ნიშნავს, ეს, მაინცა და მაინც მონაზვნებს რატომ ათხრევინებ საფლავს?!**

— ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადიულობაში გადასვლას! — ამბობს ინგა.

ეს მხოლოდ მისეული გადაწყვეტაა იმ იდუმალი ჩანაფიქრისა, მარადიულობა რომ ჰქვია და ამყვეყნიურ ამაოებაზე მიგანიშნებს...

გამოფენას მრავალი პროფესიონალი, მასწავლებელი, თუ რიგითი დამთვალიერებელი მიესალმა. ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა პატარების გასახარად, წარმატების ნიშნად მათ დიპლომებიც დაურიგეს. თვით ფრესკასავით მშვენიერმა და შემოქმედმა ხატვის მასწავლებელმა **ხათუნა ფაჩულიამ** აღნიშნა, შეიძლება ამ ბავშვთაგან ყველა ვერ დადგეს მხატვარი, მაგრამ მთავარია ხელოვნება გაითავისონ, ესთეტიკას და სილამაზეს მიეჩვიონ, სულიერი ხედვა და შინაგანი სამყარო გაუმდიდრდეთ, გამოფენის მიზანი ეს არისო.

მე კი დავუმატებდი, რომ სწორედ ასეთ ბავშვებს სჭირდებათ მუდმივი ასპარეზი, რადგან, მრავალთაგან ერთიც რომ ჭეშმარიტი ხელოვანი გაიზარდოს, ძალზე დიდი საქმეა.

**ანა ბოლქვაძე**



ინგა მეშვილდიშვილი — „ორი მონაზონი საფლავს თხრის“



გიორგი ტურაშვილი — „ორთაბრძოლა“

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!

№ 119. ოთხშაბათი, 27 ივნისი, 2007 წელი.

◉ ჩვენი ჯანმრთელობა

# მარილი — მტერი თუ მოკეთე?!



**რა დიდებული ნათქვამია — „პურ-მარილი“ (ქართული ბარაქიანი სუფრის გახსენებით ნერწყვი არ მოგადგეთ). სლავებიც (მათ შორის, რუსებიც) ძვირფას სტუმრებს პურითა და მარილით ხვდებოდნენ ვ. დალის პოპულარულ ლექსიკონში კი პირდაპირაა ნათქვამი, რომ უმარილოდ უბრალოდ პურიც არ იჭმებაო. ალბათ ის ბრძნული ნათქვამიც გახსოვთ — კაცი რომ შეიცნო, მასთან, ერთი ფუთი მარილი მაინც უნდა შეჭამოო.** ყოველივე ამას თუ იმასაც დავუმატებთ, თუ რა გემოს მატებს მარილი ამა თუ იმ კერძს, ერთობ ძნელი დასაჯერებელია ის ბრძოლა, სწავლულებმაც და დიეტოლოგებმაც „თეთრ სიკვდილად“ წოდებულ მარილს რომ გამოუცხადეს.

ალბათ გახსოვთ, XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გერმანიაში გამართულ დიეტოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე მარილი გამოაცხადეს ორგანიზმისთვის მავნე ერთ-ერთ მთავარ ნივთიერებად. „თეთრ სიკვდილზე“ წერდა ყველა, თუკი არ ეზარებოდა. დაიწყო უმარილო დიეტებით ხელაღებითი გატაცების ეპოქა. მარილისა და დამარილებული პროდუქტების მავნებლობის შესახებ წარმოდგენა მტკიცედ დამკვიდრდა ადამიანთა ცნობიერებაში. თუმცა ბევრი მაინც ვერ ამბობდა უარს მარილიან საჭმელზე.





მაგრამ, აი, გამოხდა ხანი და სიტუაცია თითქოს იცვლება. ამერიკელმა მკვლევარმა ნიუიორკის ა. ეინშტეინის სახელობის სამედიცინო სკოლიდან მაიკლ ედერმანმა აშშ ჯანმრთელობის დაცვის სამთავრობო ორგანიზაციებს მიმართა შეწყვიტონ უმარილო დიეტების პროპაგანდა. ექიმი ედერმანი ორ ათეულ წელზე მეტხანს სწავლობდა მათ გავლენას პაციენტების მდგომარეობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ასეთი დიეტები იწვევს ნეგატიურ შედეგებს, თვით დეტალურ (სასიკვდილო) ვითარებამდეც კი. სწავლული დარწმუნდა ინფარქტის რისკის ზრდაში სისხლძარღვთა შევიწროებისა და სპაზმების, სისხლის შედედებისა და ტრომბების წარმოქმნის

შესაძლებლობაზე ორგანიზმში მარილის ნაკლებობასთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, „თეთრი სიკვდილის“ აპოლოგეტები წამსვე კონტრშეტევაზე გადავიდნენ, ამტკიცებდნენ, რომ მარილის უზომო მოხმარება ავტომატურად ამაღლებს არტერიულ წნევას, რაც ინფარქტისა და ინსულტის მაცნეა.

ვეგეტარიანელები ამტკიცებდნენ, რომ მცენარეული წარმოშობის პროდუქტებში აუცილებელი რაოდენობის მარილია, „მეხორცეები“ კი ირწმუნებოდნენ, რომ მარილის გარეშე ადამიანი არ იზრდება, თანაც მარილი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელ ისეთ ნივთიერებებს, რომელთა სხვა გზით ათვისება ძალზე ძნელია.

როგორც ჩანს, ამ ცხარე დავაში ორივე მხარე მართალია. მარილი რთული ქიმიური შენაერთია, რომელშიც მარტო ნატრიუმიქლორიდი კი არ შედის, არამედ მაგნიუმიც, კალიუმიც, ყველა მათგანი აუცილებელია ორგანიზმისთვის. თითოეული მათგანის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე ლაპარაკი, ალბათ, ძალზე შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ ნატრიუმსა და კალიუმზე მოგახსენებთ.

ნატრიუმი ორგანიზმს სჭირდება სიმჟავეტუტიანობის ბალანსის დასაცავად, მის გარეშე კუჭუკანა ჯირკვლები ვერ გამოყოფენ საჭმლის მოსანელებელ წვენებს. ნატრიუმი ამავე დროს ძირითადი კომპონენტია ორგანიზმის ყოველი სითხისა, თანაც ის აქტიურად მონაწილეობს კუნთოვან შეკუმშვებში. მცენარეულ საკვებში კი ის პრაქტიკულად არაა, ამიტომაც მის საუკეთესო, ყველაზე ხელმისაწვდომ და მოსახერხებელ წყაროდ რჩება სუფრის მარილი. კალიუმის დეფიციტი კი ხელს უშლის გულის მუშაობას.

ერთი სიტყვით, მარილის მეგობრობისა თუ მტრობის დადგენა დამოკიდებულია მის რაოდენობასა და მომხმარებლის ორგანიზმის მდგომარეობაზე. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარილი არსებითად სასარგებლოა ჰიპერტონიით დაავადებულთათვის, დაბალ წნევიანებისათვის, მოდუნებულებისთვის, დასუსტებულთათვის. ქალებს კრიტიკულ დღეებში ურჩევენ მარილის მომეტებულ გამოყენებას. ხოლო მადის მოსაყვანად საკმარისია, მიირთვათ კარგად დამარილებული შავი პურის რამდენიმე ლუკმა.

თუმცა არასდროს არ უნდა გვიღალატოს ზომიერების გრძნობამ. თქვენს რაციონში ჩართეთ, რაც შეიძლება, მეტი ბოსტნეული და ხილი, — მდიდარი კალიუმით და მაგნიუმით. ისინი ორგანიზმიდან ზედმეტ მარილს გამოიტანენ.

ალბათ იტყვით, ის რა სუფრაა, თუ არ იქნება კიტრის, წიწაკის, პამიდვრის, კომბოსტოს მწნილი, შაშხი და მისთანები და მაინც — ნუ გადაამლაშებთ, ფრთხილად იყავით!

უმარილობაზე რომ თავი მოიტყუოთ, საჭმელში დაუმატეთ ნიორი — ის კარგად ნიღბავს ხორცისა და თევზის კერძებში მარილის ნაკლებობას. არ დაგავიწყდეთ რეჰანი, წიწაკა, ხახვი, ქინძი, მიხაკი და ა. შ. ისინი შეავსებენ მარილის ნაკლებობას სხვადასხვა კერძებში.

ჩვენც რომ ძალიან არ გადავამლაშოთ, ახლა მარილის ზოგიერთ სამკურნალო ძალაზე მოგახსენებთ. სასუნთქი ორგანოების დაავადებებსა და ასთმას საგანგებოდ მოწყობილ მარილის მაღაროებში მკურნალობენ. ტაფაზე გახურებულ და პატარა ტომარში ჩაყრილ მარილს 10 წუთით შუბლზე, ცხვირზე, ბრონქების ადგილზე ადებენ, გაციებისას — ფეხის ტერფებზე, რადიკულიტის დროს კი — წელზე. ცხვირიდან სისხლის დენისას ერთ ჩაის კოვზ მარილს ხსნიან ჭიქა წყალში. მიღებული სითხე ნესტოებით უნდა შეისუნთქოთ, ათიოდე წამით გააჩეროთ და გადმოღვაროთ. პარადონტოზის დროს სასარგებლოა თაფლში გარეული მარილით ღრძილების დაზელვა. ღრძილების დაავადებებს და მორყეულ კბილებს ასევე შველის მარილიანი ძმრის გამოვლება. თაფლიანი მარილი შველის ფუტკრის, კრაზანის ნაკბენსაც. თბილი, მარილიანი წყალი ჭორფლს აშორებს.

სახალხო მედიცინას უამრავი „მარილიანი“ რეცეპტი აქვს კანის დაავადებების, წელის, სახსრების, კუნთების ტკივილების მოსარჩენად, ჭრილობათა მოსაშუშებლად. მისი სამკურნალო კატალოგი სისტემატურად იზრდება. ასე რომ, საბოლოოდ თქვენი გადასაწყვეტია, მარილი თქვენი მტერია თუ მოკეთე.

„Аиф-Здоровье“-ს მიხედვით
მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა**

◉ გამოსათხოვარი



# ასანა ეპოქა იყო!

**ასანაც წავიდა, ჩვენი ასანა, უკვე ხანდაზმული თაობის დოსტი და კოლორიტი ასანა ნადირაძე... აგერ, მოგვიანებით გავიგე, თურმე, გიორგი რქმევია, საქმაკაცოში, მთელ თბილისში ასანად სახელდებულ ცალხელა ლომკაცს... გიორგი ნადირაძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ნადირაძე — სტუდენტების საყვარელი ლექტორი, გიორგი ნადირაძე — საინტერესო წიგნებისა და სტატიების ავტორი, უკომპრომისო პუბლიცისტი, თავისი პრინციპების, თავისი რწმენის ერთგული...**

**და მაინც ასანა...**

**გასული საუკუნის სამოციანი წლების დედაუნივერსიტეტის უმშვენიერესი ბაღი... სხედან, დგანან შოთა ჩანტლაძის ძელსკამთან „მესხისტები“, „შოთისტები“, „სიომისტები“... თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა საოცარი თაობა ზენიტშია და გულშემატკივრებიც, ცხადია, არ აკლია — კამათი და დაკა-დაკაა უნივერსიტეტის ბაღში — ზოგი მესხს აღმერთებს, ზოგი იამანიძეს, ზოგი ბარქაიას... გვიერთდება ასანა — გადარეული „მესხისტი“, თავისნათქვამა და არაფრის დამთმობი, თუ გაჭირდა, საკმაოდ უხეშიც, (ოღონდ სამართლიანი) მოკამათესთან, თან მოჩხუბრის „იმიჯი“ აქვს ასანას, ეს ცალხელა (ბავშვობაში დაუკარგავს მარცხენა ხელი) თავ-პირს ამტვრევს ჩხუბის დროს მოწინააღმდეგეს და მილიციიდან ყოველთვის „მშრალი“ ბრუნდება, ცალი ხელით ვის გალახავდაო...**

**ჰოდა, შემოდის წრეში... მოკამათეები ყუჩდებიან, „არ უნდა მაგას ბევრი ქაქანი, მესხი პირველია“, — ამბობს ასანა და ყველაფერი გარკვეულია, „მესხისტები“ ვზეიმობთ.**

**ნეტა იმ დროს, ჩემო ასან!.. წავიდა ის ხალხი, ან ნელ-ნელა მიდის... უნივერსიტეტსაც აღარა აქვს ის პეწი... საქართველოში, სამწუხაროდ, დღეს უცხოურ ფეხბურთზე და უცხოელ ფეხბურთელებზე ამოსდით მზე და მთვარე, ასეა ლიტერატურაშიც, შენ რომ ეთაყვანებოდი... ვაი რომ, აღარც საქართველოს ისტორია აინტერესებს ვინმეს და აღარც წინაპარი... გლობალიზაციის ჭაობში ეფლობა შენი სათაყვანო სამშობლო, მშველელი კი არავინაა!..**

**შენი რიხი მოგვენატრება ასან, ხანშიშესულებს, შენი სამართლიანობა და რაინდული თვისებები, შენი თამადობა და ყელმოღერება, ლექსისა და სიმღერის ჯახანი მოგვენატრება.**

**და კვლავაც საყვედური წამოგვცდება დაუნდობელი საწუთროსადმი...**

**ნათელში იყავ, ჩვენო ასან ნადირაძევ!**

მეგობრების სახელით
**ვილენ მარდალეიშვილი**

---

**ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, გურამ გომართელი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთგული მეგობარი და ავტორი, ცნობილი მეცნიერი და კოლორიტული პიროვნება, პროფესორი**

**გიორგი (ასანა) ნადირაძე**

**და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**როინ მეტრეველი ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის და კოლეგის**

**გიორგი ნადირაძის**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.**

---

**ოთარ ჭითანავა, ანზორ მაისურაძე, ოთარ წურწუმია, სოსო კვიციანი, ნუგზარ იზორია, ზურაბ მაჩაიძე, ვოვა გვარჯალაძე, პალადი ჯინჯოლავა, ალეკო კაკულია, თენგიზ ტრაპაიძე, ზაურ ზარნაძე, ოთარ მიმინოშვილი, ზურაბ რატიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ისტორიკოსი, შესანიშნავი მოქალაქე და ვაჟკაცი**

**ასანა ნადირაძე**

**და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

---

**უახლოესი მეგობრები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ქალაქის კოლორიტი, მეცნიერი**

**ასანა (გიორგი) ნადირაძე**

**ომარ გოგიაშვილი, ალეკო თავართქილაძე, ნიკო ჯაღუგიშვილი, გივი მაგიაშვილი, სოსო ტორიაშვილი, კობა ქადაგიძე, ვახო თუთაშვილი, დათო ბერძენიშვილი, გელა აბაშიძე, მიშიკო შენგელია, რამაზ გოგლიძე, სოსო ელიავა, ვალერი ასათიანი, კიჭა არველაძე, კოსტა წულაძე, პოგი შანიძე, ჯუმბერ ქვარაია, გია ლოლაძე, ბუთხუზ ბასილაია, ივიკო საყვარელიძე.**

---

**ნუგზარ წერეთელი, გურამ გეგეშიძე, გეიდარ ფალავანდიშვილი, ერლომ ახვლედიანი, ნოდარ ზედელაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, გიორგი ბერძენიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ სტუდენტობის მეგობარი და განუმეორებელი პიროვნება, ცნობილი მეცნიერი და მწერალი**

**გიორგი (ასანა) ნადირაძე**

**და გულწრფელად თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

---

**მეგობრები გელა სანიკიძე, უშანგი დონჯაშვილი, მურად ესართია, დიანა გლოველი, ნანა ბზიკაძე, გოგი ნარუსლიშვილი, ნინო იაკობაშვილი სამძიმარს უცხადებენ ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მის ოჯახს დის**

**ვალენტინა ალექსანდრეს ასულ ჯანიაშვილი-კერესელიძის**

**გარდაცვალების გამო.**

◉ ინფორმაცია

## სამეფო თეატრი იუბილარია

**„სამეფო უბნის თეატრს“ დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თეატრში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა. საღამოზე თეატრის დაარსების დღიდან მოგროვილი ვიდეომასალის ჩვენება მოეწყო.**

როგორც თეატრის დამაარსებელმა და მთავარმა რეჟისორმა მერაბ თავაძემ განაცხადა, ათი წლისთავთან დაკავშირებით, „თეატრის მაყურებელთან“ შეხვედრა დაგეგმა. სამ ყველაზე წარმატებულ თანამშრომელს სპეციალური სიგელები და ფულადი თანხა გადასცეს.

საზეიმო ღონისძიებას „სამეფო უბნის თეატრის“ მეგობრები, მსახიობები, რეჟისორები, ბიზნესმენები და სხვა ცნობილი ადამიანები დაესწრნენ.

**ინტერპრესნიუსი**

გახსენება

## ზაურ გურგენიშვილი

**შეუსრულებელ 42 წელს გილოცავთ!**

**შენი დაბადების დღე — 27 ივნისი ჩვენთვის დიდი ტკივილია...**

**უზომოდ გვენატრები ყველას — სიცოცხლეგამწარებულ დედას და მეუღლეს, შვილებს, ძმას და ყველა ახლობელ ადამიანს. იცოდე, შენს სახელს მარად შევინახავთ და ყოველთვის მწუხარებით და ცრემლით გავიხსენებთ.**

**შენი ოჯახი**

# ბოლო გვერდი

● ასოციაცია „ელკანა“ აქტიურად არის ჩაბმული სოფლის მშრომელთა ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად გამიზნული მრავალფეროვანი პროგრამების ძიებასა და პრაქტიკულ ხორცშესხმაში



## ⊙ ფაქტი



## მოგზაურობა ვაზისა და ღვინის ქვეყანაში

**ასოციაცია „ელკანა“ აქტიურად არის ჩაბმული სოფლის მშრომელთა ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად გამიზნული მრავალფეროვანი პროგრამების ძიებასა და პრაქტიკულ ხორცშესხმაში.**

ერთ-ერთი ასეთი პროგრამათაგანი იყო ხალხმრავალი და, ამავე დროს, თითქოს ურჩეულო ღონისძიება „მოგზაურობა ვაზისა და ღვინის ქვეყანაში“, რომელიც ტურიზმის და სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში დააფინანსა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ.

„ელკანამ“ ამ პროექტზე მუშაობა 2006 წლიდან დაიწყო. მიზანია საქართველოში სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტრადიციული პროდუქტების წარმოების ხელშეწყობით სოფლის ტურიზმის განვითარება.

ახლახან რესტორან „ფაიტონში“ გამართული ღონისძიება ითვალისწინებდა პატარა ქალაქებში შერჩეული სასტუმრო



სახლების და ოჯახების წარდგენას, რომლებსაც აქვთ საინტერესო გლეხური მეურნეობები, ძველი მარანი და შესაძლებლობა, რომ ღვინის მოყვარულებს გააცნონ უძველესი თუ დღესაც მაღალ დონეზე შენარჩუნებული ქართული ტრადიციები, ტექნოლოგიები და ღვინის სმის კულტურა.

ღვინის ტრადიციული რაიონებიდან ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, რომელთაც გულითადად მიესალმნენ საქართველოში ჩამოსული დიპლომატიური კორპუსის და ქვეყნების მმართველი წრეების წარმომადგენლები, ქართული სტუმართმოყვარული ტრადიციების დამფასებელი და მის განვითარებაზე მზრუნველი ადამიანები.

ტრადიციების უფრო დახვეწასა და განვითარებაზე სტუმრებმა მრავალი აზრი და წინადადება გამოთქვეს. ხასგასმით ითქვა ისიც, რომ მსგავს მიმართულებას ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლებამ, სახელმწიფო სტრუქტურებმა, ვისაც ხელეწიფება ყოველივე ამის მოგვარება.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ოფიციალურად დაავალა ეკონომიკური განვითარების მინისტრს გიორგი არველაძეს, შეირჩეს 200 სოფელი, რომელთა კეთილმოწყობასა და მაღალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაზე ხელისუფლება იზრუნებს.

ვნახოთ, პრეზიდენტის ეს სიტყვა იქცევა თუ არა საქმედ.

**პირიმზე გვარლიანი**

## ⊙ ინფორმაცია

## ქალი გადაარჩინა, თავად დაიხრჩო

**ტრაგიკულად დასრულდა გუშინ დიდუბის ხიდთან მომხდარი შემთხვევა. ახალგაზრდა ქალის გადასარჩენად მტკვარში გადამხტარი პატრული დაიხრჩო.**

თვითმხილველთა ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი თვითმკვლელობის მიზნით დიდუბის ხიდიდან მტკვარში გადახტა, რასაც საპატრულო პოლიცია შეესწრო. ერთ-ერთი მათგანი ქალის საშველად მტკვარში გადახტა. ქალის გადარჩენა მოხერხდა, მაგრამ თავად პატრული დაიღუპა.

ქალი სამაშველო სამსახურის მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. იგი დაახლოებით 30 წლისაა.

**ინტერპრესნიუსი**

## ⊙ გვემრავლოს!

## თაბორიძეთა გვარს ტყუპი ძმები შეემატნენ

**საქართველოს საპატრიარქოს თბილისის წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლიდან დაგვირეკეს – წუხელის ტყუპები დაიბადნენო.**



მივაკითხეთ... უკვე ექოსკოპიის დახმარებით იცოდა ქეთევან გოცირიძე-თაბორიძემ, რომ ტყუპების დედა გახდებოდა, თან ბიჭების. ქეთევანს მძიმე მშობიარობა ჰქონდა (ამშობიარა ექიმ-გინეკოლოგმა ლია კვირკველიამძ. პალატაში ქეთევანის მეუღლეც დამხვდა – დავითისა და საბას მამიკო ლევან თაბორიძე. მათ შარშან იქორწინეს, გლდანის მე-4 მიკრორაიონში მცხოვრებლებმა ჯვარი გლდანის ეკლესიაში დაიწერეს. ქორწინებიდან წლისთავზე ორი ბიჭი შესძინეს ქვეყანას. ჩემს იქ ყოფნისას (ჩვილები ჯერ კიდევ რეანიმაციაში იმყოფებიანძ ბიჭები დედას მოუყვანეს. ქეთევანი 19 წლისაა, ლევანი – 23-ის. ქეთევანი საბუღალტროზე სწავლობს, ლევანი კი ფირმა „ნიკალას“ დაცვაში მუშაობს.

**ღმერთმა ნუ მოუშალოს ქართულ ოჯახებს ვაჟიანობა.**

**ნათელა ფაილოძე**

## ⊙ ლარის კურსი

**27 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3273 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6735 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2478 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0645 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9546 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4847 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3218 ლარი. |

## ⊙ ანეკდოტები

გუშინ, ღამით, ორი ქუჩის გადაკვეთაზე, ერთმანეთს შეეჯახნენ „ბმვ“ მარკისა და „მერსედესის“ მანქანები. ორივე მანქანის მძღოლები და მგზავრები ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მსუბუქი ჭრილობებით გადარჩნენ.

* * *

ოჯახმა რესტორანში იქეიფა. მამამ ფული გადაიხადა, დედა კი ოფიციანტს ეკითხება:

– ხომ შეიძლება, რომ სადილის ნარჩენები შევაგროვოთ და სახლში წავიღოთ ჩვენი ძაღლისთვის?

– რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, ქალბატონო.

– ვაშა! დედიკო ჩვენთვის ძაღლის ყიდვას აპირებს! – ყვირიან გახარებული პატარები.

* * *

იმისათვის რომ ნაკლები დრო დავკარგოთ ჩვენებურ საცობებში, საჭიროა არა იმპორტული მანქანა, არამედ ქართული თავხედობა.

* * *

ყველა ქალი მიიჩნევს, რომ მამაკაცს ტვინი ფეხებშუა აქვს.

ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ, რაზე ფიქრობენ ქალები, როდესაც მამაკაცს მოუწოდებენ, „გაანძრიე ტვინიო“.

* * *

თუ გსურს, მუდამ შენსაზე იდგე, მაშინ ზომას მნიშვნელობა აქვს.

* * *

– მიხო, ეს შენი ძაღლია, „კატოკის“ ქვეშ რომ მოჰყვა?

–როგორ გამოიყურება?

– მშვენიერი ნოხივით!

* * *

გერმანელი, პოლონელი და რუსი უკაცრიელ კუნძულზე მოხვდნენ. თევზი დაიჭიროთ



შიმშილის მოსაკლავადო, გადაწყვიტეს. ოქროს თევზი დაიჭირეს. თევზმა, – გამიშვით და, თითო პირობას შეგისრულებთო.

– ერთი ჭიქა შნაპსი შემასვი და სახლში დამსვიო, – შეუკვეთა გერმანელმა.

პოლონელმაც იგივე ისურვა.

– ერთი ყუთი არაყი ჩამომიდგი და ის უგემოვნებო კამპანია უკან დააბრუნეო, – ბრძანა რუსმა.

## ⊙ კადრი



თედო ნიკოლაიშვილის ფოტო


რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.

შპს „თანადგომა -1“
ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.